საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 202 (730) ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 25 კაპიკი.

პირველი სვეტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

15 სექტემბერს, ღამით, 00 საათსა და 30 წუთზე, ლოთი ქობალიას არაკანონიერმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით განახორციელეს შეტევა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანას საგუშაგოზე, სადაც პიკეტზე იდგა ლანჩხუთის „მხედრიონის" მცირერიცხოვანი რაზმი. წინასწარი მონაცემებით მხედრიონელთაგან დაიღუპა 7 მებრძოლი, რამდენიმე მათგანი კი ტყვედ აიყვანეს. ამჟამად სამტრედია-ლანჩხუთის ავტომაგისტრალს და აქვე გამავალ სარკინიგზო ხაზს არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ, რის შედეგადაც ფოთი სრულ იზოლაციაშია მოქცეული. მცირე მასშტაბის შეტაკებები აღინიშნებოდა სხვა ადგილებშიც. ამჟამად ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება ავტომაგისტრალის გასათავისუფლებლად.

* * *

ჯაპანას საგუშაგოზე თავდასხმის შემდეგ ლოთი ქობალიას არაკანონიერმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა 500 კაცის შემადგენლობით და რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკის თანხლებით, განავითარეს შეტევა სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარის მიმართულებით. არის მსხვერპლი. ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლები.

თავდასხმა საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ობიექტზე

14 სექტემბერს, გვიან ღამით, თბილისის გარეუბანში მდებარე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ერთ-ერთ ობიექტზე მოხდა გაურკვეველ შეიარაღებულ პირთა თავდასხმა. ყაჩაღებმა ალყა შემოარტყეს ბაზას და ცეცხლი გახსნეს. თავდასხმა მოიგერიეს.

რუსმა ჯარისკაცებმა იხსნეს ქართველთა ოჯახი

შემაშფოთებელი ცნობა მოვიდა ოჩამჩირიდან. აფხაზ ბოევიკთა არაკონტროლირებადი ჯგუფები ტერორს უქმნიან ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, ყაჩაღობენ ტრასებზე. მაგალითად, 13 სექტემბერს სოფლებს ტამიშსა და ძველ კინდღს შორის გზაზე მათ სცადეს მძევლად აეყვანათ ხვიტიების ქართული ოჯახი, რომელიც თავისი ავტომანქანით სოხუმში მიემგზავრებოდა. მანქანა გააჩერეს და ავტომატების ცეცხლი დაუშინეს ბანდიტებმა. ხვიტიას ოჯახი გადაარჩინეს რუსმა ჯარისკაცებმა პოდპოლკოვნიკ ს. გლაზილინის მეთაურობით, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ამ ტრაგიკულ მომენტში ბოროტმოქმედების ადგილის მახლობლად.

ამ და ბევრ სხვა ამგვარ დარღვევასთან დაკავშირებით, გუდაუთის დაჯგუფების პოლკოვნიკმა, აღმოსავლეთის მიმართულების სარდალმა მერაბ ქიშმარიამ მორიგი სამმხრივი შეხვედრის დროს ოჩამჩირეში განაცხადა, რომ იგი კარგავს მოთმინებას, თავისი ადამიანების ნდობას და, შემდგომში მათი საქციელისათვის პასუხს არ აგებს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

მ ი ჯ ნ ა

თბილისი. 14 სექტემბრის საღამო, პარლამენტის წინა მოედანზე.

ვ. ბენზიურის ფოტო.

უკანასკნელ წლებში, საქართველო, თბილისი ორჯერ ვნახეთ მუხლმოყრილი. ერთხელ 9 აპრილის მსხვერპლთა ამაღლების დღეს, მეორედ... ახლა, 14 სექტემბერს, ღამით, როცა მავანთა ბეცობით, გაუტანლობით, ავყიაობითა და არაკაცობით შეძრწუნებულ-შეწუხებული საქართველო, თბილისი, ქართველობა ბოდიშს იხდიდა...

...და იდგა თანამოძმეთა, თანამოქალაქეთა ამ უეცარი აქტით შეცბუნებული ერისკაცი — სახელმწიფოს მეთაური პარლამენტის შენობის ფანჯარაში და იძახდა: — საქართველოს, ქართველობას ვერავინ დააჩოქებს!

მართალი ბრძანებაა, — საქართველოს, ქართველობას მართლაც, ვერავინ დააჩოქებს, გარდა სიყვარულისა, ერისკაცობის უდიდესი მადლისა. ის კი, რაც 14 სექტემბრის ღამით მოხდა, რუსთაველის პროსპექტზე, სწორედ ამ სიყვარულის, ამ თანადგომის ნათელი დასტური იყო და იქნება მომავალშიც.

დაგვიანებით, მაგრამ მაინც, აღდგა თბილისი, საქართველო... აღდგა იმისათვის, რომ ეთქვა: — ძირს ბოროტება, ყაჩაღობა, დაპირისპირება, მაფიის თარეში!

აი, მივედით, მივადექით მიჯნას, როდესაც უნდა ავირჩიოთ: — როგორ ვიცხოვროთ!

— მე არ შემიძლია ვიყო ხელისუფლების სათავეში და ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში, რომელსაც მკვლელებისა და ბანდიტების რეპუტაცია ექნებათ მსოფლიოში — აცხადებს სახელმწიფოს მეთაური.

— არც ჩვენ გვინდა, არც ქართველობას უნდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება — აცხადებს ქართველი ერი.

მაშ, ისღა დაგვრჩენია, ისე, როგორც 14 სექტემბერს, ავდგეთ, ავიშალოთ, გავერთიანდეთ და ყველას, ავყია პარლამენტარი იქნება, გაყაჩაღებული პარტიელი, პოლიციელ-გვარდიელი თუ მხედრიონელი, ყველას თავისი სახელი დავარქვათ და ადგილიც საკადრისი მივუჩინოთ.

კარგა ხანია, პარტიობის, ბლოკობანის, კავშირობანას თამაშმა, უსაგნო, ზოგჯერ უზნეო, შეურაცხმყოფელმა საპარლამენტო გამოსვლებმა, ატმოსფერომ, როდესაც პარლამენტარები თვით პარლამენტში ეძებენ ქურდებს, მამაძაღლებსა და კრედიტმჭამელებს, მოთმინების ფიალა აუვსო ჩვენს საზოგადოებრიობას.

და კიდევ... იმ დღეს რუსთაველის პროსპექტზე გამოსულმა ასიათასობით თბილისელმა კიდევ ერთხელ შეახსენა იმათ, ვინც უკანასკნელ წლებში მუქარა და შანტაჟი ხელობად გაიხადა, მათ შორის ხელისუფლებაშიც: — ჩვენ აღარავის მივცემთ უფლებას, რომ საქართველო ყაჩაღობის და ურთიერთდაპირისპირების პოლიგონად აქციოს. თბილისელებს აქვთ იმ ქარცეცხლიანი დღეების გამოცდილება, როცა ცხადად დავანახეთ ქვეყანას, რომ შეგვიძლია ვიყოთ ჩვენი ქალაქის ბატონ-პატრონიც და თავდაუზოგავად ვებრძოლოთ ნებისმიერი რანგის ყაჩაღებსაც და გამომძალველებსაც.

ასე იქნება ახლაც, მით უმეტეს, როცა თბილისელთა ამ ძალისხმევას მხარში უდგას მთელი საქართველო და თავად სახელმწიფოს მეთაური.

ასე რომ, მივედით, მივადექით მიჯნას, როდესაც უნდა ავირჩიოთ, — როგორ ვიცხოვროთ!

არჩევანი მოხდენილია: — ვერავითარი ძალა თუ მაფია ვერ შეაჩერებს ჩვენს წინსვლას სიმართლისაკენ, საქართველოს გამარჯვებისაკენ!

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

„საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 12, მუხ. 364) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „კონსტიტუციისა და ამ კანონის" შეიცვალოს სიტყვით „კანონმდებლობის".

2. მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესებს აცხადებს საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური აფრთხილებს მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში აცხადებს კიდეც მათ შემოღებას შესაბამის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსათვის შეტყობინებით. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტის დასამტკიცებლად".

3. მესამე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია გაახანგრძლივოს მის მიერ შემოღებული საგანგებო წესების მოქმედების ვადა ან გააუქმოს იგი ვადის გასვლამდე საქართველოს პარლამენტის თანხმობით. თუ საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ საგანგებო წესების საჭიროება აღარ არის, იგი იღებს დადგენილებას მისი გაუქმების შესახებ".

4. მეოთხე მუხლის მე-12 პუნქტს დაემატოს წინადადება „აკრძალონ უნებართვოდ სამხედრო ფორმისა და ეკიპირების საგნების ტარება".

ამავე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „კონტროლი დაუწესონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს". დანარჩენი სიტყვები ამოღებულია.

5. მეხუთე მუხლის მეორე ნაწილი გაუქმდეს.

6. მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „მილიცია" შეიცვალოს სიტყვით „პოლიცია".

7. მერვე მუხლში და მეცხრე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ათას მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე".

8. მეათე მუხლი გაუქმდეს.

9. მეთერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 11. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ძალები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით".

10. მეთორმეტე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით შეიძლება შეიქმნას ერთობლივი ოპერატიული შტაბი" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას დროებითი ორგანოები".

11. მეცამეტე მუხლში სიტყვები „მინისტრთა საბჭოს" შეიცვალოს სიტყვებით „მინისტრთა კაბინეტის".

12. მეთოთხმეტე მუხლში სიტყვები „რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს" შეიცვალოს სიტყვით „პარლამენტს".

13. მეთხუთმეტე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „მინისტრთა საბჭო" შეიცვალოს სიტყვებით „მინისტრთა კაბინეტი".

14. მეთექვსმეტე მუხლის:

ა) პირველ ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოს მეთაურს".

ბ) მეორე ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოს მეთაურის", ხოლო სიტყვები „მინისტრთა საბჭოს" შეიცვალოს სიტყვებით „მინისტრთა კაბინეტის".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 14 სექტემბერი.

რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო შეთანხმებანი

მოსკოვი, 15 სექტემბერი. (იტარ-სადდეს-საქინფორმის კორ.). საქართველოში მომხდარ მძაფრ ამბებს ხელი არ შეუშლია რუსეთ-საქართველოს რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი შეთანხმების დაგეგმილი ხელმოწერისთვის, რომელიც მოსკოვში გაიმართა. რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა **ალექსანდრე შოხინმა** და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ოთარ ფაცაციამ** ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო შეთანხმებას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის შესახებ. დაიდო აგრეთვე შეთანხმებანი 1992 წლის შედეგების მიხედვით ტექნიკური კრედიტებით დავალიანების გადაფორმების, არასავაჭრო გადასახდელების, საქართველოს ტერიტორიაზე მანეთის, როგორც მიმოქცევის საშუალების გამოყენების შეწყვეტისა და საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებული ურთიერთვალდებულებებისა და მოთხოვნების შესახებ, ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო ვალისა და კრედიტების მიმართ უფლებამონაცვლეობის საკითხების მოგვარების შესახებ.

როგორც აღნიშნულია რუსეთ-საქართველოს ორდღიანი მოლაპარაკების შესახებ ოფიციალურ ცნობაში, მისმა მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს აფხაზეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის გამო. საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ უახლოესი ვადის მანძილზე დამთავრდება საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან მძიმე საბრძოლო ტექნიკის გამოყვანა. მოლაპარაკების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს მხარეებისთვის მისაღებ საფუძველზე როგორც ქართველ-აფხაზთა, ისე ქართველ-ოსთა კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების შესახებ მოლაპარაკების უსწრაფეს გამართვას.

„გადაიდგა პირველი ნაბიჯი რუსეთისა და საქართველოს დაახლოების გზაზე, — განაცხადა ალექსანდრე შოხინმა ჟურნალისტებს დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ. — ეს ნაბიჯები გადაიდგა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ დარგში. მაგრამ ისინი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო ძვრები პოლიტიკურ სფეროში, რომლებიც უკვე მოხდა ან მოხდება უახლოეს ხანს". ხელმოწერილი შეთანხმებანი, როგორც ვიცე-პრემიერმა თქვა, მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ვიმედოვნებ, ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები ხელს მოაწერენ კიდევ მრავალ დოკუმენტს, თქვა მან. საქმე ეხება სავაჭრო-ეკონომიკურ ოქმს, შეთანხმებას 1993 წლისთვის კრედიტების გამოყოფის შესახებ.

„ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჩვენ უნდა ვიმეგობროთ, — ასე დაახასიათა მოლაპარაკების შედეგები და დოკუმენტების ხელმოწერა ოთარ ფაცაციამ. საქართველოში ახლანდელი სიტუაციის თაობაზე კორესპონდენტის კითხვის პასუხად მან თქვა: „ხალხმა ბოლოს და ბოლოს, შეიგნო, თუ რა ხდება ქვეყანაში და საქმე უახლოეს დღეებში სტაბილიზაციისაკენ მიდის".

გედის სიმღერა?

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სახელმწიფო მეთაურის მიერ წამოყენებულ ორი პირობიდან პირველი — ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება — უპირობოდ (არც ერთი წინააღმდეგი, არც თავი შეუკავებია არავის) მიიღო, მეორე პირობის ბედიც — პლენარული სხდომები შეწყვეტა საგანგებო მდგომარეობის ვადის გასვლამდე — გადაწყდა. ეჭვი აღარავის შეჰპარვია, რომ დეპუტატები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, უფრო სწორად — ტელემაყურებლებს დეპუტატებს, რადგან მუშაობას წყვეტს არა პარლამენტი (ფრაქციებსა და კომისიებში საქმიანობა გრძელდება), არამედ პლენარული სხდომები. ბატონმა ნოდარ ნათაძემ მოითხოვა (აბა, რას მოითხოვდა?): ჩვენ გვჭირდება ზუსტი ინფორმაცია და გარკვეულობა — რას ნიშნავს პარლამენტი დროებით წყვეტს საქმიანობას? ანუ დააზუსტა — ეს ბოლო სხდომა შეწყვეტილი სიმღერა იქნებოდა თუ გედის სიმღერა? იქვე განმარტეს: საჭირო შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით ან დეპუტატთა მთლიანი რაოდენობის ერთ მეხუთედის მოთხოვნით გაიმართება საგანგებო სესია. მანამდე კი პარლამენტარები ყოველნაირად ხელს შეუწყობენ საგანგებო მდგომარეობის განხორციელებას ადგილებზე.

დეპუტატებს ერთმანეთთან გამომშვიდობება მაინც გაუძნელდათ. ბუნებრივია, ამ დარბაზს ერთმანეთისთვის სიყვარულის გამოცხადების იმდენი შემთხვევა უნახავს, შელევა გაჭირდებოდა. ერთი გაბრძოლება მაინც იყო — სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მექანიზმები სხვადასხვაა, ამას პარლამენტის გაშვებასთან რა კავშირი აქვსო. რას იზამთ: ამ აწყობილ, უზადო, დახვეწილი მექანიზმების ქვეყანაში ერთმაც თუ სადმე მთლად სრულყოფილად ვერ იმუშავა, იმწამს თვალს ხვდება. ცისფერ ეკრანს ერთი კარგი თვისება ჭეშმარიტად აქვს. თვისება, რომელსაც აგრე უწუნებდნენ ჩვენი პარლამენტის სხდომების მაყურებლები — იქიდან რომ გვესმის, აქედან ჩვენი ხმაც უნდა ესმოდეთო. მადლი უფალს, ასე რომ არ არის, თორემ, წარმოიდგინეთ, რას მოისმენდა იქითა მხრიდან ვთქვათ ბატონი... ბევრი ბატონი, ერთი სიტყვით.

თედო პაატაშვილმა პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციასთან ერთად ხაზი გაუსვა მის მაკონტროლებელ როლსაც. კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლაში რომ არ გადაიზარდოს, უნდა შეიქმნას საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს (აკი „ქარტიას" პასუხისმგებლობის გრძნობა არ უყვარსო?!).

სხდომაზე ითქვა იმის თაობაზე, რაც საზოგადოებამ უკვე იცის — ლანჩხუთის რაიონის ამბები. აქამდე ჩვენ შინაომლილობას მოძმეთა შორის შეტაკებას ვუწოდებდით (ქართველი და ოსი, ქართველი და აფხაზი), ახლა კი ღვიძლ ძმათა შეტაკება მოხდა. ვუბრუნდებით ფეოდალურ ეპოქას?! ყველაზე ძნელად ისტორია ძმათა შორის შუღლს ვერ პატიობს. ცნობილია ესპანელთა ტრაგედია— ერთ ადგილას ერთიმეორის გვერდით დასაფლავებულნი არიან ფრანკისტები და მათი მოწინააღმდეგენი, რომლებსაც ესპანელები დღემდე ერთნაირად დასტირიან. მაშინ ბარიკადის ორივე მხარეს მდგომი ესპანელი პატრიოტები ერთნაირად დარწმუნებულნი იყვნენ თავ-თავიანთ სიმართლეში. ორივე მხარე საკუთარი იდეალებისათვის იბრძოდა. თუმცაღა არ არსებობს ქვეყნად იდეალი, რომლის გამო ძმამ ძმაზე ხელი უნდა აღმართოს. იმათ იდეალი მაინც ჰქონდათ. ჩვენთან კი... რაზე გადის (ჯინისწყლის საზღვარი? რას იყოფს ან ერთი, ან მეორე მხარე? საქართველოს? ჭკვიანი სხვის მაგალითზეც სწავლობს, ბრიყვი — საკუთარზეც ვერა.

— ნუ გგონიათ, რომ თქვენდამი ლოიალური დამოკიდებულება უსუსურობით მოგვდის. — ტელევიზიით მიმართა პირდაპირ ლოთი ქობალიას შეიარაღებულ დაჯგუფებას სახელმწიფოს მეთაურმა, — ნუ დაიჯერებთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს შესაძლებლობები ამოწურულია. უკანასკნელად გაფრთხილებთ. გონს მოეგეთ, არსებობს ბევრი რამ, რასაც თქვენ არ გინდათ ანგარიში გაუწიოთ, დაინახეთ ყველაფერი, სანამ გვიან არ არის!

დილის სხდომის შემდეგ პარლამენტარები დაიშალნენ. წავიდ-წამოვიდნენ: ვინ საით, ვინ — რისთვის?

საქართველოში კი სამოქალაქო ომის დაწყება ასე რეალური არასოდეს ყოფილა.

დღეს 15 სექტემბერია. ქობალიამ უკვე დაღვარა ძმათა სისხლი.

როგორი გადავითენდება 16-ის დილა?

**გალინა ხარებაშვილი,
ზაირა ჩომახაშვილი.**

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ნომერში

⊙ ჰაი დედასა, სადამდე მივედით? — თურქეთში ჟურნალისტური მივლინებით. 2

⊙ მინდა ჩემი საქმიანობა საქართველოს და ისრაელის დაახლოებას მივუძღვნა. 3

ედუარდ შევარდნაძე ქუთაისში

15 სექტემბერს, საღამოს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ვიცე-პრემიერის ზურაბ კერვალიშვილის, რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გია ვაშაკიძის თანხლებით ქუთაისში ჩავიდა, რათა ადგილზე გაეცნოს დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას.

ქუთაისის აეროპორტიდან სახელმწიფოს მეთაური თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრა ქალაქის მერიაში, სადაც გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ლანჩხუთის რაიონში შექმნილი ვითარება.

თენგიზ პაჭკორია.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განცხადება

14 სექტემბერს საქართველოში უმძიმესი ვითარება შეიქმნა. ქვეყნის მომავალს სერიოზული საფრთხე ემუქრება. საბედნიეროდ, კონსტიტუციონიერებამ გაიმარჯვა და კატასტროფა არ მოხდა. ეს გამარჯვება ქართველმა ხალხმა მოიპოვა, რომელმაც ქვეყნისთვის ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა. სამწუხაროდ, საქართველოს ავის მოსურნე ძალებმა, რომელთა გეგმებშიც არ შედის ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა, არ დააყოვნეს და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყეს.

ლოთი ქობალიამ და გამსახურდიას მომხრე სხვა ლიდერებმა, მიუხედავად მტკიცებისა, რომ ისინი თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ქართველთა სისხლს არ დაღვრიდნენ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით იბრძოლებდნენ, ქართველი ხალხის მტკიცე პოზიციით გახელებულებმა თავისი ნამდვილი სახე გამოავლინეს. მათი ბრძანებით უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი მძიმე ტექნიკის გამოყენებით შეტევაზე გადავიდნენ ლანჩხუთის რაიონში. სოფელ ჯაპანას მიდამოებში მეომრებისა და ტყვიების მასირებული ცეცხლი დაუშინეს თავისსავე თანამოძმეებს, რასაც 9 ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა.

გუშინდელი დღის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მგელმა მგლობა ვერ დაფარა და გაირკვა მტერიც და მოყვარეც. გუშინდელი დღის შემდეგ წარსულს ჩაბარდა ლოიალობისა და შეწყნარების პერიოდი. შექმნილ სიტუაციაში ქვეყანას მხოლოდ კანონიერება და მტკიცე ენერგიული ზომები გადაარჩენს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, სხვა სტრუქტურებთან ერთად, ერთგულია ხალხის არჩევანისა. იგი არ დაუშვებს ქვეყნის დაქუცმაცებას, ანარქიასა და ქაოსს, ქართველთა სისხლისღვრას. საქართველოს შეიარაღებული ძალები არ დაუშვებენ ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევას.

15 სექტემბერი, 1993 წელი.

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურიდან შეგვატყობინეს:

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ვახტანგ ქობალიას შეიარაღებულ ფორმირებებს გადაწყვეტილი აქვთ დაფნარიდან ვანში შესვლა. ამისთვის თავმოყრილია მძიმე ტექნიკა. მათ მოსახლეობას წაუყენეს ულტიმატუმი დანებების შესახებ. მათივე განცხადების მიხედვით, განზრახული აქვთ ზესტაფონის დაკავება და წიფის გვირაბის აფეთქება. საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ახორციელებენ სასწრაფო ღონისძიებებს ამ ზრახვების ჩასაშლელად.

„გვახარებს, რომ საქართველოს პარლამენტში იმძლავრა საღმა თვალსაზრისმა"

მოსკოვი, 15 სექტემბერი. (იტარ-სადდეს-საქინფორმი). „ძალზე გვახარებს, რომ საქართველოს პარლამენტში იმძლავრა საღმა თვალსაზრისმა ედუარდ შევარდნაძის მოქმედებაზე და, რომ თავის ლიდერს მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ხალხმა". ეს განაცხადა დღეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა ქართველ კოლეგასთან გიორგი ყარყარაშვილთან შეხვედრაზე, რომელიც მოსკოვში იმყოფება სამუშაო ვიზიტად. პაველ გრაჩოვმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კვლავაც მხარს დაუჭერს კანონიერად არჩეულ სახელმწიფოს ხელმძღვანელობას.

შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების სამართლებრივი სტატუსი, აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევის შესახებ ხელშეკრულების მომზადება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესები ამოქმედდეს 1993 წლის 20 სექტემბრის 00 საათიდან, ორი თვის ვადით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 14 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს პარლამენტის 1993 წლის საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომები გაიმართოს საგანგებო წესების მოქმედების დამთავრების შემდეგ.

პარლამენტის საქმიანობა წარიმართოს კომისიებში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შესამუშავებლად და დასახვეწად.

2. საქართველოს პარლამენტის წევრებმა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებმა, ადგილებზე მუშაობა წარმართონ პარლამენტის წევრის სტატუსით გათვალისწინებულ უფლებათა მაქსიმალური გამოყენებით, საგანგებო წესების შესაბამისად თვალყური ადევნონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას; გამართონ კონსულტაციები ამ ორგანოთა ხელმძღვანელებთან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ამომრჩევლებთან.

3. საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომების მოწვევა რეგულირდება არსებული რეგლამენტით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 15 სექტემბერი.

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ზიზი ინწკირველი.

საკონსტიტუციო კონტროლი

სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური აქტია, რომელსაც სხვა სამართლებრივ ნორმებთან შედარებით უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ამიტომაც უწოდებენ მას ძირითად კანონს. აქედან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის თანახმად მთელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობა სახელმწიფოში უნდა ხორციელდებოდეს კონსტიტუციის შესაბამისად. სამართლებრივი ნორმა, რომელი სახელმწიფო ორგანოს მიერ უნდა იყოს მიღებული, მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს იურიდიულ ძალას, თუ მასში მოცემული ქცევის წესი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. სხვა შემთხვევაში სამართლებრივი ნორმა დადგენილი წესით შეიძლება ბათილად ჩაითვალოს. სწორედ ეს ამოცანა აქვს დაკისრებული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შემოწმებას კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია საბოლოო ანგარიშში კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინა პირველად შემუშავდა და დაინერგა 1803 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მიერ ჯონ მარშალის თავმჯდომარეობით. 1848 წელს საკონსტიტუციო კონტროლი შემოიღეს შვეიცარიაში, ხოლო 1853 წელს — არგენტინაში. ამჟამად ეს ინსტიტუტი მოქმედებს მრავალ ქვეყანაში და გათვალისწინებულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიღებულ „მეორე თაობის" ყველა კონსტიტუციაში.

საკონსტიტუციო კონტროლის შემოღებამ, თავის მხრივ, წარმოშვა გარკვეული წინააღმდეგობა პარლამენტსა და საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ურთიერთმიმართებაში. საქმე ისაა, რომ ამ ინსტიტუტით გარკვეულწილად იზღუდება პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, საკანონმდებლო უზენაესობა. ეს, რა თქმა უნდა, ფაქტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პარლამენტს მხოლოდ იმდენად აქვს საკანონმდებლო უზენაესობა, რამდენადაც მისი საქმიანობა არ სცილდება კონსტიტუციის ფარგლებს და შეესაბამება მას, შეუძლებელია ამ ორგანოს ლეგიტიმურობაში ეჭვის შეტანა, რომლის ამოცანაა არ დაუშვას კონსტიტუციის საწინააღმდეგო სამართლებრივი აქტების მიღება, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, თუნდაც პარლამენტისაგან.

ზემოაღნიშნული ფაქტორით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არცერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს არ ირჩევენ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. არჩევნების შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო იმდენად ძლიერი ინსტიტუტი გახდებოდა, რომ მისი მიმართება პარლამენტთან მართლაც წინააღმდეგობრივ ხასიათს მიიღებდა. ამიტომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირებისას დაცულია თანამდებობის პირთა დანიშვნის პრინციპი. განასხვავებენ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების ფორმირების პროცედურის სამ სახეობას: საპარლამენტოს, არასაპარლამენტოს და შერეულს.

საპარლამენტოს მიეკუთვნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი, რომლის შესაბამისად სასამართლოს თექვსმეტი წევრიდან ნახევარს ირჩევს ბუნდესტაგი, ხოლო ნახევარს ბუნდესრატი. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს ხმათა ორი მესამედი.

ფორმირების არასაპარლამენტო წესი მოქმედებს იაპონიაში, სადაც სასამართლოს თოთხმეტ წევრს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეს — იმპერატორი მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების დაახლოებით ასეთივე წესია გათვალისწინებული ესპანეთში.

შერეული სახეობა გულისხმობს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ფორმირებაში პარლამენტის ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლოს წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო სენატი ამტკიცებს მათ. თუ სენატი დაიწუნებს კანდიდატურას, პრეზიდენტმა სხვა კანდიდატურა უნდა შეარჩიოს და წარუდგინოს სენატს დასამტკიცებლად. საფრანგეთში მოქმედებს საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა პირადად დანიშვნის პრინციპი: პრეზიდენტი, ეროვნული კრების და სენატის თავმჯდომარეები საკონსტიტუციო საბჭოში ნიშნავენ სამ-სამ წევრს ცხრა წლის ვადით.

თანამედროვე ქვეყნებში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა სისტემის ორი ძირითადი მოდელი: დეცენტრალიზებული (ამერიკული) და ცენტრალიზებული (ევროპული).

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა სისტემის დეცენტრალიზებული ტიპი გულისხმობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას საერთო იურისდიქციის ყველა სასამართლოს მიერ (აშშ, არგენტინა, მექსიკა, დანია, ნორვეგია, კანადა, ავსტრალია, ინდოეთი, იაპონია). ამ ქვეყნებში კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა კონკრეტული საქმე, შეიძლება დააყენოს ნებისმიერმა სასამართლომ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ცალკეული შტატების კანონების მიმართ ასეთი ინსტანციაა შტატის უმაღლესი სასამართლო, ხოლო ფედერალური კანონების მიმართ — ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო.

საუბრები კონსტიტუციაზე

საკონსტიტუციო კონტროლის ცენტრალიზებული ტიპი გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ამ მიზნისათვის შექმნილია სპეციალური კვაზი-სასამართლო ორგანოები, რომლებიც არ შედიან საერთო იურისდიქციის სასამართლო ორგანოთა სისტემაში. ამ სასამართლოებისათვის საკონსტიტუციო ზედამხედველობა ერთადერთი ან მთავარი ფუნქციაა (გფრ, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი).

არსებობს აგრეთვე სხვა მოდელებიც, რომლებშიც შერწყმულია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემების ძირითადი ნიშნები. მაგალითად, საბერძნეთში 1975 წლის კონსტიტუციის თანახმად კონსტიტუციური კონტროლის უფლებით აღჭურვილია საერთო იურისდიქციის ყველა სასამართლო (დეცენტრალიზებული ტიპი), ამასთანავე შექმნილია სპეციალური უმაღლესი სასამართლო (ცენტრალიზებული ტიპი).

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, კონსტიტუციური და ორგანული კანონები, კონსტიტუციაში ცვლილებები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, პარლამენტის რეგლამენტი, სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტები, საკავშირო სახელმწიფოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხები; საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე არჩევნების ჩატარების სისწორე, სახელმწიფო ორგანოთა შორის კონფლიქტები, უმაღლესი თანამდებობის პირთა მიმართ საქმის აღძვრა და სხვ.

საკონსტიტუციო კონტროლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც აქვთ უფლება მოითხოვონ ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება.

თავისი შინაარსით საკონსტიტუციო კონტროლი ფორმალური ან მატერიალურია. პირველ შემთხვევაში მოწმდება კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მიღების წესების დაცვის მდგომარეობა. მეორე შემთხვევაში კი შემოწმება ეხება თვით კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შინაარსს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებმა საქმე შეიძლება აღძრან როგორც კონკრეტული საბაბის არსებობისას, მაგალითად, სასამართლო საქმესთან დაკავშირებით (აშშ, შვეიცარია, ინდოეთი), ისე კონკრეტული საბაბის არარსებობისას საკონსტიტუციო [illegible] სუბიექტების ინიციატივით ([illegible]). საკონსტიტუციო კონტროლის ორივე სახეობა — კონკრეტული და აბსტრაქტული — შეიძლება გამოიყენონ ერთდროულად (გფრ, იტალია).

პრაქტიკაში გამოიყენება საკონსტიტუციო კონტროლის ორი ფორმა — წინასწარი და შემდგომი. წინასწარი კონტროლი გულისხმობს კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებას პარლამენტში მისი განხილვის სტადიაზე (შვეცია, ფინეთი). [illegible] კონსტიტუციურობის შემოწმებასთან [illegible] კონსტიტუციურობის [illegible] მოქმედებს შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი (აშშ, იტალია, გფრ). [illegible] შემოწმება [illegible] კონტროლის ორივე ფორმა.

საკონსტიტუციო კონტროლის [illegible] ანტიკონსტიტუციურად [illegible] იქნეს როგორც მთლიანად კანონი, ისე მისი ცალკეული დებულება. ასეთ შემთხვევაში კანონი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს იურიდიულ ძალას და მისი გამოყენება სამართალშემფარდებელი ორგანოების მიერ არ ხდება. როგორც წესი, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ [illegible].

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფაში. [illegible] ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანია, რომელიც [illegible] მექანიზმს კონსტიტუციის ჩარჩოებში [illegible], ხელს უწყობს დემოკრატიის [illegible]. აღსანიშნავია [illegible] და კანონმდებლობის ერთიანობის [illegible]. საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას საჭიროა [illegible] ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების [illegible] გამოცდილების გაზიარება.

ჯონი ხეცურიანი,
სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

დაგვიცავით მოსალოდნელი უბედურებისგან!

თბილისის შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულ უმუშევართა
მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის
თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს
ედუარდ შევარდნაძესა
და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ
ოთარ ფაცაციასადმი

მოგმართავთ ჩვენი უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო. უმუშევრები საქართველოში ყოველმხრივ დაუცველ, სიღატაკეში ჩავარდნილ სოციალურ ფენას წარმოვადგენთ, რის გამოც მოკლებულნი ვართ არსებობის ელემენტარულ შესაძლებლობას. მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესში შიმშილობა გადაულახავ პრობლემად გვექცა. სახელმწიფოს მიერ უმუშევრებზე გაცემული შემწეობა კი იმდენად მცირეა, რომ მისი შემწეობად ჩათვლა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია, ამიტომ ბევრი ჩვენგანისთვის არსებობის ერთადერთ საშუალებას ოჯახიდან გატანილი სხვადასხვა ნივთის გაყიდვით შემოსული თანხა წარმოადგენს. ალბათ სულ მალე ეს „წყაროც" დაგვეწრიტება და რეალურად აღმოვჩნდებით ფიზიკური კატასტროფის გარეშე.

ასეთ ვითარებაში რთული სამწუხაროა, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ გააჩნია ქვეყანაში ეკონომიკის გაჯანსაღებისა და მოსახლეობის სოციალური გარანტიების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, უფრო მეტიც, არაეფექტური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის ბერკეტები, ფაქტობრივად მცირე კორუმპირებული ჯგუფის — მაფიის ხელში აღმოჩნდა, რომელიც დაეპატრონა და საკუთარ ინტერესებს დაუქვემდებარა ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილი. ასეთ დროს, როცა ხდება ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის აშკარა ძარცვა, ხელისუფლების წარმომადგენლები ერთობლივი ძალისხმევით ქმედითი ღონისძიებების გატარების ნაცვლად ურთიერთქიშპში, ერთმანეთთან გაუთავებელ პოლემიკასა და საჯაროდ ერთმანეთისადმი ბრალდებების წაყენებას უნდებიან. არადა, ამ მძიმე დროს მშრომელთა სოციალური დაცვის გარკვეულ ფუნქციას საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა კისრულობდნენ. განსაკუთრებით კი პროფკავშირები. მაგრამ საქართველოში პროფკავშირული ორგანიზაცია არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ინტერესების გამომხატველი და დამცველი.

დღეს ჩვენ, უმუშევრები, ღვთის ანაბარად მიტოვებული ხალხი ვართ. არ გვყავს ქომაგი, გამკითხავი, რომელიც დაგვიცავდა უსამართლობისაგან, დაიცავდა ჩვენს ოჯახებს მოსალოდნელი ტრაგედიისაგან.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ, როგორც თქვენი ამომრჩევლები და ამასთან ყველაზე დაუცველი სოციალური ფენის წარმომადგენლები, კატეგორიულად მოვითხოვთ წლეულს, სექტემბრის ბოლომდე, თქვენთან — სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და ამ შეხვედრის პირდაპირ ტელეტრანსლირებას.

ქ. თბილისი. კინოს სახლი
25 აგვისტო, 1993 წელი.
მიმართვა მიღებულია უმუშევართა პირველ შეკრებაზე.

ენრიკ ფრეშა:

„საქართველოში მალე ნანატრი მშვიდობა დაისადგურებს"

თბილისში 800 ათასი ვაქცინა ჩამოვიტანეთ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეშვეობით ისინი რესპუბლიკის რეგიონებში გავავრცელეთ, — თქვა ესპანეთიდან ჩამოსული „ექიმები უსაზღვრებოდ" მისიის მეთაურმა ენრიკ ფრეშამ. — ეს ვაქცინების პირველი პარტიაა, მეორე სექტემბერში ჩამოვა. ასევე ვანაწილებთ მედიკამენტებს რესპუბლიკის ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეებისათვის. პრეპარატების პარტია გურიაში ჩავიტანეთ ზაფხულის დამდეგს. ახლა სამეგრელოსაკენ ვაპირებთ წასვლას

— როგორია „ექიმები უსაზღვრებოდ" ორგანიზაციის მიზნები?

— ჩვენ წარმოვადგენთ ჰუმანიტარულ არასამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ეხმარება ეკოლოგიურ კატასტროფათა, ეთნიკურ კონფლიქტთა მსხვერპლთ მათი რასის, სქესის, რელიგიის, ფილოსოფიისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.

ორგანიზაცია შეიქმნა ფრანგ მედიკოსთა ინიციატივით 1971 წლის დეკემბერში.

— თქვენი ორგანიზაციის ფილიალები რომელ ქვეყნებშია?

— დღეს ისინი ევროპის ექვს ქვეყანაშია — საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიასა და ესპანეთში. ესპანეთის ფილიალის შტაბბინა ბარსელონაშია, რომელიც 1986 წელს შეიქმნა.

— ბატონო ფრეშა, რა პროექტებს ასრულებთ საქართველოში და ვინ აფინანსებს მათ?

— საქართველოში სამი პროექტი გვაქვს: პირველი — მედიკამენტების განაწილება, მეორე ვაქცინების შესყიდვა და გაიაწილება, მესამე კონტრაცეპტივების გავრცელება. ჩვენი პროექტების სპონსორია ევროპის გაერთიანება.

— რამდენი კაცი მუშაობს თქვენს მისიაში?

— შვიდნი ვართ. აქედან ოთხი ამჟამად სოხუმში იმყოფება. ისინი იქ მუშაობენ ამბულატორიაში და დღეში სინჯავენ 100-ზე მეტ პაციენტს.

— რას ფიქრობთ თქვენს ქართველ კოლეგებზე?

— საქართველოში 35 ათასამდე ექიმია, გაცილებით მეტი, ვიდრე ესპანეთში. გვიკვირს, რომ თუმცა ამდენი ექიმია საქართველოში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ავადმყოფი გყავთ. ვერ ვხედავთ, რომ დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ ქართველი კოლეგები. ხშირად ვყოფილვარ საქართველოს საავადმყოფოებში, სადაც პაციენტები ელოდნენ წამლებს, ჭრილობების გადახვევას, ექიმები კი საორდინატოროში ისხდნენ და საუბრობდნენ. გვესმის, რომ მათ პატარა ხელფასი აქვთ, მაგრამ ეს ამას ვერ გაამართლებს.

— კმაყოფილი ხართ, რომ საქართველოში მუშაობთ, აქ ხომ ცხოვრება ძალიან ძვირია?

— სწორედ ამიტომაც ვარ აქ. იცით, საქართველო ძალიან ჰგავს ესპანეთს. იგივე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ახლა თქვენში მიმდინარეობს, უკვე მოხდა ესპანეთში რამდენიმე ათეული წლის წინათ. ვიმედოვნებ, რომ საქართველოშიც ძალიან მალე ნანატრი მშვიდობა და სიმშვიდე დაისადგურებს.

ენდი ჟამიერაშვილი,
საქინფორმის კორ.

• • •

სურათზე: მისიის — „ექიმები უსაზღვრებოდ" მეთაური ენრიკ ფრეშა (ესპანეთი).

ვანო შამანაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჟურნალისტური მივლინებით

სარფიდან — ტრაპიზონამდე ხოფას გავლით

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაიხსნა „სარფის კარი". ხუთი წელია, რაც ჩვენთვის მისაწვდომი გახდა მანამდე შეუვალ-შეუღწეველი მეზობელი თურქეთი. შემდგომში ჩვენში აღმოცენებულ ე. წ. „თურქულ ბუმს" წინ უსწრებდა უჩვეულო ლირიზმით, კეთილშობილებითა და ძმური ცრემლნარევი სიყვარულით გამთბარი ატმოსფერო, გულისამაჩუყებელი შეხვედრები ჭოროხგაღმელ „ჩვენებურებთან", თურქეთის ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ჩემი მეგობარი ბათუმელები ახლაც იხსენებენ ხოლმე იმ უჩვეულო სიხარულს, რომელსაც განიცდიდნენ ათწლეულობით დაშორების შემდეგ სარფში ერთმანეთს ჩახვეული და-ძმანი, ახლობლები, ნათესავები...

ასე გამოკრთა ახალი ურთიერთობის მაუწყებელი პირველი სხივი, რომელსაც თან მოჰყვა საინტერესო შეხვედრები, ფოლკლორული ფესტივალები და სხვა კულტურული ღონისძიებები. ერთი სიტყვით, ასე დაიწყო ახალი ცხოვრება ჭოროხის ორივე მხარეს, ასე ჩაისახა იმედი, რომელიც დღემდე ღვივდება და დიდ პერსპექტივებს უსახავს ორი მეზობელი ქვეყნის ხალხების ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

— ჩვენ მარტო მეზობლები კი არა, მეგობრები და ძმები უნდა ვიყოთ, — განაცხადა თბილისში ყოფნისას თურქეთის მეთაურმა ბატონმა დემირელმა, რომელმაც ისიც აღნიშნა, თუ რა დიდი წვლილი მიუძღვით თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს მათი რესპუბლიკის შექმნაში, საერთოდ თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს მართლაც ასეა... დღეს ქართული წარმომავლობის ბევრი მოღვაწე ხელმძღვანელობს თურქეთის სამინისტროებს, ვილაიეთებს, მძლავრ ეკონომიკურ სტრუქტურებს. სანდო და პატრიოტი ხალხიაო ქართველები — ასე იცნობენ და აფასებენ მათ თურქეთში.

ცხადია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია და, ალბათ, ამიტომაც გამიჩნდა სურვილი საკუთარი თვალით მენახა და მკითხველისთვის გამეცნო ჩვენებურების ცხოვრება, საქმიანობა, ფიქრები საქართველოზე, ჩვენს გასაჭირსა თუ მომავალზე. ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში თანამდგომიც გამიჩნდა — გაზეთ „ალორძინების" მთავარი რედაქტორი, კარგი მოთურქულე, პოეტი და ჟურნალისტი, ჩემი მეგობარი ნუგზარ ჯაფარიძე და...

ბატონ ასლან აბაშიძის რეკომენდაციებით, ჩვენი ბათუმელი სპონსორების შეწევნითა და დახმარებით აღჭურვილნი, ასე დავადექით თურქეთისკენ მიმავალ გზას, რომელმაც ჩვენებურებთან შეხვედრის სიხარულთან ერთად, ბევრი ტკივილიც მოგვაყენა, ბევრზეც ჩაგვაფიქრა. სწორედ ამ სიხარულსა თუ სატკივარზე გადავწყვიტე გიამბოთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ და მომდევნო ნომრებში.

• • •

ყველამ კარგად ვიცით — თურქეთი სარფის საბაჟოდან იწყება...

მაგრამ ისიც ვიცით, რომ საქართველო და ქართველობა არ მთავრდება სარფთან.

კარგა ხანია, აჭარის ხელმძღვანელობის დიდი მცდელობის შედეგად, დავიწყებას მიეცა სარფს მოძალებული ხალხის აურზაური, მანქანების მრავალკილომეტრიანი რიგები. ახალი საბაჟოს მთელი კომპლექსის მწყობრში ჩადგომამ ცივილიზებული სახე მისცა აქაურობას, მაგრამ — ე. წ. „ბუმი" მაინც ვერაფრით ჩააცხრო, და ასე, ყოველდღიურად მატარებლებით, სატვირთო თუ მსუბუქი მანქანებით, დიდი თუ მცირე ავტობუსებით, ათასგვარი ტვირთით მიემართება ბათუმისკენ შიმშილობის ზღვარზე მისული ლამის მთელი საქართველო.

სარფის საბაჟოსთან მისვლამდე თვალს გჭრის გზის მარცხნივ თუ მარჯვნივ, ორღობეებსა თუ ეზოებში ხე-ტყით, ლითონის ნაწარმით, ათასგვარი ფართლეულითა და სხვა პროდუქციით დატვირთული უშველებელი „ტრალერები", „კამაზები", ავტობუსები, რომელთა სახურავებზეც უამრავი ველოსიპედი, მოტოციკლი და სხვა ათასი უბედურებაა აჩონჩხილი. საბაჟოს ეზოში კი გარბი-გამორბიან დროულად გასვლის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილნი. არის ერთი ორომტრიალი; ჩვენებურ ქალბატონებს, რომ იტყვიან, წელი წყდებათ უშველებელი სიმძიმისა და სიდიდის ფუთებისა და ჩემოდნების თრევით.

ერთ აწოწილ, ხმელ სარფელ გოგონას პატარა საგორავებელი ურიკა უშოვია და დროდადრო ეხიდება, ეშველება გულამომჯდარ ქალბატონებს. ისეთი სიმწრითა და ვაივაგლახით მოაგორებს უშველებელ ტვირთს, რომ გული მოგიკვდება. ჰაი, დედასა, ამ ოხერ გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ამ ორმეტრიან გოგონას ჩვენი კალათბურთის რომელი მესვეური დატოვებდა საბაჟოს ანაბარა, ისეთი ცქვიტი და მოხერხებული ჩანს.

აქ ისე გჭრის თვალს ყველაფერი, რომ ძალაუნებურად იფიქრებ: — ამ გამოცარიელებულ და გაჩანაგებულ საქართველოში ნეტავ სად მოიძებნა ეს ამდენი საქონელი. ამ საქმეზე თვალი ისევ ჩემმა ბათუმელმა კოლეგებმა ამიხილეს, ბათუმის რკინიგზის სადგურში მიმიყვანეს.

უნდა ნახოთ ერთი აქ რა ხდება, როცა სადგურის ბაქანსა და წინა მოედანს ავსებს დასავლეთ საქართველოდან, განსაკუთრებით სამეგრელოს რაიონებიდან თურქეთში წასასვლელად ჩამოსული ხალხი.

მართლაც უშველებელ ზვინებად, გორებად აღმართულა აქ სხვადასხვა სახის საქონელი, შეფუთული თუ შეუფუთავი საქონლის ამ უშველებელ გორაკებს შუა ქალბატონები ჩამჯდარან და დარაჯობენ... მამაკაცები კი დარბიან, ეძებენ ჩვენებურ თუ თურქულ მანქანებს, რომ საქონლის ეს ზვინები მანქანებზე გადაიტანონ და...

ძალაუნებურად იფიქრებ ამ უშრომელი სარფის დაკარგვის შიში ხომ არ არის დღეს ცხენისწყლის გაღმა, რომ დამდგარა და ზარბაზნებს გვიღერებს თანამოძმეთ. თუმცა არც სხვები აკლიან: აქ არიან ქუთაისელებიც, ქართლელებიც, კახელებიც, თბილისელებიც, ერთი სიტყვით ყველა ვისაც რა უშოვია ან მოსჭარბებია.

მანუფაქტურა და სამეურნეო ნაწარმი რომ გამოელიათ, ახლა ტყეებს, შავსა თუ ფერად ლითონებს მიეძალნენ. უნდა ნახოთ, როგორი გულმოდგინებითა და გულისყურით არის დაწყობილ-დახარისხებული მორებად, კოჭებად, იატაკისა თუ ჭერის ფიცრებად ასე უგულგუროდ განადგურებული ჩვენი ტყეების მშვენება. ამ შთაბეჭდილებას აწყვია ეს ჩვენი საგანძური სარფიდან ტრაპიზონამდე სოფლებისა და ქალაქების საქმიან ეზოებში, გზისპირებზე.

თუ გსურთ თურქეთში ნამდვილი დღევანდელი „საქართველო" იხილოთ, ხოფაში უნდა შეჩერდეთ და ზღვისპირა იმპროვიზირებულ ბაზარს მიაკითხოთ... რა არ იყიდება აქ — მაცივრიდან დაწყებული უბრალო ქინძისთავამდე. ბოშა ქალებივით ჩამჯდარან თავიანთ საწვრილმანოებთან ჩვენებურები და არის ერთი ალებმიცემობა. აქ ერთი იქაური „ჩვენებური" გამოვეცნაური და სინანულითა და გულისტკივილით შემოგვჩივლა: — თუ საქართველო და ქართველობა ისე დაეცემოდა, რომ ასე სახოფაოდ დაურჩებოდა საქმე, ნეტავ არც სარფის კარი გაგვეხსნა და არც ამის მომსწრენი ვყოფილიყავითო.

ჩვენები კი ყოველივე ამას უკიდურესი გაჭირვებით, შიმშილის ზღვარზე მისვლითა და უდიდესი სასოწარკვეთით ხსნიან.

ცხადია, გაჭირვებულს, ლუკმაპურის მაძიებელს, რომელიც არაფერს თაკილობს იმისათვის, რომ ათიოდე ლირა ან დოლარი იშოვოს, რათა თითო ხელი სამოსი, ფეხსაცმელი ან მცირეოდენი პროდუქტი წამოიღოს ოჯახისათვის, პატივს ნაკლებად სცემენ. თვით პატარა ბალღებიც კი აბუჩად იგდებენ აქ სავაჭროდ ჩამოსულებს, ერთი სიტყვით, აქ მართლაც ნამდვილი ბაზარია, მთელი თავისი ატრიბუტიკით, მასშტაბითა და ღრიანცელით, რაც თავისთავად დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის, საერთოდ ქართველობის პრესტიჟზე.

აბა რა გული გაგიძლებს დამშვიდებით უყურო ყოველივე ამას!

ზოგიერთი ჩვენი ჭოროხგაღმელი თანამოძმე უკვე ცდილობს რაღაც ახსნა, მიზეზი მოუძებნოს ჩვენს ამ უბედურებას. მიზეზი კი ერთია — უკიდურესი გაჭირვება, შიმშილი, სოციალური დაუცველობა, განუკითხაობა, შინაომი, ხელისუფლებისა და მთავრობის უსუსურობა, შეიარაღებული პარტიებისა და მაფიის თარეში, ქართველთა ურთიერთგაუტანლობა, დაპირისპირება. ასეთი რამ უცხოა თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამოძმეებისათვის, რადგან მათთვის თანადგომა, ურთიერთდახმარება და მუხლჩაუხრელი შრომა ის უმთავრესი თვისებებია, რომელმაც ქართველობას უმაღლესი ავტორიტეტი მოუპოვა მთელ თურქეთში.

უკვირთ, ნამდვილად უკვირთ ჩვენებურებს, ჩვენი სიბეცე და წინდაუხედაობა, ამბიციები, რომელსაც შეიძლება ვანაცვალოთ ყველაფერი, ქვეყანაც და ჩვენი მომავალიც.

ერთი მეტად უჩვეულო რამ იქცევს აქ ყურადღებას. [illegible] ქართველთა შორის ერთ აჭარელს ვერ ნახავთ. თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო — ზოგიერთს ეგონა ჩვენი აჭარლები პირველები ჩაებმებოდნენ ამ მისვლა-მოსვლასა თუ ვაჭრობაში, მაგრამ... ეს ასე არ მოხდა, რადგან მათ იციან თავისი, განსაკუთრებით კი საქართველოს ფასი, თუმცა სხვაზე ნაკლებ არც მათ უჭირთ.

აი, გამოჩნდა ტრაპიზონიც, ზღვის პირთან დაშვებულ მთის ფერდობზე შეფენილი ლამაზი ქალაქი.

აქ ჩემი კოლეგისა და თანამგზავრის ნუგზარ ჯაფარიძის მეგობრები — ყორდანიებისა და ზვამბაიების შთამომავალი, ტრაპიზონის ვიცე-მერი ჯაფერ ხაზაროღლი და ტრაპიზონის პოლიციის ვიცე-უფროსი თურან შაჰილერი (ხაჯიშაინიშვილი) გველოდებიან.

დიდებული, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ხალხია ბატონები ჯაფერი და თურანი. ეს მათი ინიციატივით და ძალისხმევით მოხდა სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში. ახლა ბატონ ჯაფერს ერთი სურვილი და მისწრაფება აქვს — სათანადოდ მოუაროს და მიხედოს იმ საფლავს, უფრო სწორედ ნასაფლავარს, სადაც ჩვენი მეფე განისვენებდა საქართველოში გადმოსვენებამდე. ნაღვლობს, გახიცის ჯაფერ-ბატონი, რადგან ჩანაფიქრი ვერ განუხორციელებია იმის გამო, რომ ჯერაც ვერ მიიღო საქართველოდან საფლავისა თუ მემორიალისთვის განკუთვნილი სათანადო ტექსტები და სხვა მასალები. ეგებ ახლა მაინც გაიხსენონ ჩვენმა მეცნიერებმა და დაპირება შეუსრულონ ჩვენს თანამოძმე ტრაპიზონის ვიცე-მერს.

ერთობ საინტერესო პიროვნებაა ტრაპიზონის პოლიციის უფროსის მოადგილე, საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი თურან შაჰილერი. როგორც მან გვითხრა, სარფიდან ტრაპიზონამდე მისი სამსახური აკონტროლებს ყველაფერს. მათ შორის, ცხადია, შემოსულ ქართველთა ყოფასაც და მოქმედებასაც.

—რითაც შემიძლია, — მეუბნება ბატონი თურანი, — ხელს ვუწყობ ჩვენებურებს, მესმის მათი გასაჭირიც, პრობლემებიც... ვაჭრობას აბა ვინ დაუშლის, მაგრამ ერთი რამ ძალზე მაკვირვებს. ღამით როცა სავაჭრო დახლებთან ათევენ ღამეს, ერთმანეთს პარავენ საქონელს. ამას მოსდევს გაუთავებელი შეხლა-შემოხლა, ჩხუბი, აყალმაყალი თვით საქართველოდან შემოსულთა შორის. ჩვენ კი აქ იმისთვის ვართ, რომ არ დავუშვათ უწესრიგობა. ვინ იცის, მე და ჩემს მუშაკებსაც რამდენჯერ გვიპოვია ქართველთა ნაქურდალი და დაგვიბრუნებია პატრონისთვის. ვინ მოთვლის, რამდენს ვუხსნი და ვაფრთხილებ ჩვენებურებს — შეიკავონ თავი ასეთი ქმედებისგან, მაგრამ.. მაინც ქურდავენ ერთმანეთს. მაგრამ ქურდობა ჯანდაბას, — ეს რა სახსენებელია იმასთან, რასაც აქ ჩვენი თვალით ვუყურებთ. ბორჩხადან და არჰავიდან დაწყებული, ტრაპიზონისა თუ თურქეთის სხვა ქალაქების სასტუმროები გადაჭედილია საქართველოდან ჩამოსული მეძავებით. არაფერს ვიტყოდი, ეს თითო-ოროლა შემთხვევა რომ იყოს. მე პირდაპირ მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით, საქმის კურსში ჩავაყენო თქვენი სამართალდამცავი ორგანოები, მთელი საზოგადოებრიობა იმის შესახებ, რომ [illegible] ნათლად ჩამოყალიბდა ამ ქალების მოძიებისა და გაქირავების მძლავრი მაფია, რომელსაც ისევ თქვენი მოქალაქეები უდგანან სათავეში.

— მე, — განაგრძო ბატონმა თურანმა, — საერთოდ არაფერს ვიტყოდი ამ უხერხულ თემაზე, ყოველივე ამას ასეთი არნახული მასშტაბები რომ არ მიეღო. აქედან გამომდინარე ჩვენც — აქაურები და თქვენც — იქაურები, ვალდებულნი ვართ ერთობლივად მოვეუროთ ამ საშინელებას. რაც შეეხება პრაქტიკულ საქმეს, მე მზად ვარ ნებისმიერ დროს მივიღო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რათა ერთობლივად წინ აღვუდგეთ ამ უბედურებას.

ჰაი დედასა, სადამდე მივედით?

სიმართლე გითხრათ, ეს ის თემაა, რომელიც ვერავითარ კომენტარს ვერ იხდენს და, ალბათ, ვერც მოვახერხებ, რადგან ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში ასეთი რამ არ შემხვედრია... ბატონ თურანთან საუბარში ერთი კი წავილუღლუღე: — ნუთუ ესეც ამ საერთო უბედურებისა და გაჭირვების შედეგია-მეთქი? ეს იყო და ეს...

თქვენ რას იტყვით, ხალხო!

გია ჟელიძე.

მშვიდად, უშიშრად რომ ვიცხოვროთ

მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებისადმი, ყოველი მოქალაქისადმი

საქართველოს რესპუბლიკა დღეს განსაკუთრებით შეშფოთებულია იმით, რომ მათი უსაფრთხოება დაუცველია. ყოველ ნაბიჯზე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლება შენივე თანამოძმემ დაგქურდოს, „დაგაყაჩაღოს". გცემოს ან სულაც ბრმა ტყვია მოგხვდეს. ავტომატებითა და მრავალი სახის იარაღით აღჭურვილ ახალგაზრდებს ხომ თვალი აღარა აქვს. დედაქალაქის უბნები და რესპუბლიკის რეგიონები არცთუ იშვიათად სასროლ პოლიგონს ემსგავსება. კაცი ვერ გაიგებს — ვინ ვის ესვრის, ვის რა უნდა. არადა, დღითიდღე მატულობს დაღუპულთა რიცხვი.

საგალალო მდგომარეობაშია საწარმოები. გაძარცვული მანქანადანადგარები უმოქმედოდ დგანან ან კიდევ თურქეთის ბაზრებზე ჯართის ფასად იყიდებიან. უძლური გახდა სამართალდამცავი ორგანოები. შეიცვალა ძალთა თანაფარდობა [illegible] სამყაროს სასარგებლოდ.

შექმნილი მდგომარეობით სასოწარკვეთამდე მისული თბილისელები შეიკრიბნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და მოუწოდეს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას: ყველამ ერთად, თავდაუზოგავი ბრძოლა დავიწყოთ წესრიგის დასამყარებლად.

ამიტომაც, სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის განცხადება საგანგებო წესების შემოღების შესახებ აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში თითქმის აღარ იქცევა ყურადღება მშრომელთა კოლექტივების აზრს. მათ ერთიანობაზე, დარაზმულობაზე, მათ მიერ უმკაცრესი საწარმოო და საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარებასა და ამაზე ხომ ბევრად იქნება დამოკიდებული ეკონომიკის აღდგენა, კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესება, ინფლაციის დაძლევა. ჩვენ დავივიწყეთ წესრიგის ცნება. ამდენად, ბუნებრივია, უნდა გავამკაცროთ მომთხოვნელობა ყველა სახის დამრღვევთა მიმართ.

ამ ეტაპზე, პირველ რიგში, საჭიროა [illegible] თავიანთი საქმიანობით მშრომელთა კოლექტივებმა, პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. [illegible] მშრომელთა კოლექტივების [illegible] ჩვენს გაერთიანებაში [illegible] ამ მიმართებით იქნება გაშლილი მუშაობა. [illegible] დაკისრებული ერთიანობისა და გამთლიანებისათვის ბრძოლაში.

საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" კოლექტივი, მისი თითოეული თანამშრომელი მხარში ამოუდგება მთავრობას, პოლიციას, ჯარს. პირადი მაგალითით წესრიგის დამყარებაში კოლექტივის თითოეული წევრის მიერ, ერთსულოვნებით მუშაობის გაძლიერებით, მომთხოვნელობის გაძლიერებით საკუთარი თავის და ყველას მიმართ, დისციპლინის დამყარებით შრომაში, ტრანსპორტში, სახლში, ქუჩაში, დასახლებებში, ყველასთან, ვისაც ჩვენ შევეხებით, ვიმორიგეებთ ქუჩებში, საწარმოო უბნებში, დასახლებებში. ჩვენ ვერაფრით [illegible] ვერ დავუთმობთ ნარკომანებს, დისციპლინის დამრღვევებს, ქურდებს. მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულებით თუ შევძლებთ უზრუნველვყოთ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება. სიმშვიდე და სწორედ [illegible] [illegible] მოვუწოდებთ თითოეულ მშრომელთა კოლექტივს, რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს.

საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" კოლექტივის სახელით, გაერთიანების გენერალური დირექტორი
ნიკა ცხაკაია.

მიმართვა მიღებულია საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" აპარატის გაერთიანების სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის, სარემონტო-მექანიკური და „კრისტალტექნიკის" ქარხნების წარმომადგენელთა შეკრებაზე.

1993 წლის 13 სექტემბერს.

ბანდა ლიკვიდირებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს: 14 სექტემბერს, 11 საათზე დუშეთისა და ახალგორის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები სამხედრო გზაზე, დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთთან ატარებდნენ რეიდს ახალგორის რაიონის პოლიციის საგუშაგოზე ყაჩაღური თავდასხმის მონაწილეთა დაკავების მიზნით. მათ გააჩერეს ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ხელყუმბარითა და ავტომატებით შეიარაღებული 5 პირი, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის მუშაკებს, რის შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ ეკოლოგიური პოლიციის სამმართველოს რეგიონული განყოფილების ინსპექტორი ზაზა ჭუმბურიძე და ახალგორის შინაგან საქმეთა განყოფილების სამხედრო ინსპექტორი ჯიმშერ ზანგურაშვილი, დაიჭრა დუშეთის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი ბიჭიკო თეთრაშვილი. პოლიციის მუშაკთა მხრიდან საპასუხო სროლის შედეგად ბოროტმოქმედთა ჯგუფი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სამი ავტომატი, ერთი ხელყუმბარა და ორი თვითნაკეთი [illegible]. ყაჩაღების ვინაობა დგინდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი



ნოე ჟორდანია 1868–1953

„ძნელი გამოსაცნობი ყოფილა ქართველის ბუნება. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ნოე ჟორდანიას, თუ ამ ხალხის ცხოვრება გაიგო და მის სავალ გზას მიაგნო"

ილია ჭავჭავაძე

«არ ვიცი, ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ლოცულობს»

გრიგოლ რობაქიძე

გილოცავთ ახალ 5754 წელს!

მსოფლიო ებრაული სააგენტო „სოხნუთის" და პირადად ჩემი სახელით მინდა მოგილოცოთ თქვენ, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს და მსოფლიოში მცხოვრებ ებრაელებს, ახალი 5754 წელი.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ მშვიდობიან, ბედნიერ, მხიარულ, ჯანმრთელ და გამარჯვების ახალ წელს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვუსურვო საქართველოს და ყველა მის მოქალაქეს ბედნიერი და მშვიდობიანი წელი, ეკონომიკური და სხვა სიძნელეებისაგან განთავისუფლების წელი. მომავალი ბედნიერი დღეების იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. ამენ!

მსოფლიო ებრაული სააგენტო „სოხნუთი"-ს
წარმომადგენელი საქართველოში
ი. ეფრემაშვილი

უცხოური ენების სწავლების ცენტრი ლონდონის INTERNATIONAL HOUSE-ს ფილიალი

აცხადებს მიღებას

1. ზოგადი პროფილის ინტენსიური სწავლების ჯგუფებში (ინგლისური, გერმანული);
2. ბავშვების და მოზარდების სხვადასხვა ასაკობრივ (6-დან 15 წლამდე) ჯგუფებში;
3. პროფილირებული სწავლების ჯგუფებში (უცხოური ენების ზოგადი და სპეციალური კურსი საქმიანი წრეებისათვის, ექიმთა, იურისტთა, ფინანსისტებისა და ჟურნალისტებისათვის);
4. კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოცდების მოსამზადებელ ჯგუფებში.

ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი დონის მიხედვით მოხდება ტესტირების შედეგად.

სწავლის ხანგრძლივობა — 3, 6, 9 თვე, კვირაში 4-ჯერ 2-2,5 საათის განმავლობაში.

სწავლის საფასურის გადახდა — როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

საბუთები მიიღება 16 სექტემბრიდან 11-დან 15 საათამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სასწავლებლიდან ან სამუშაო ადგილიდან, საცხოვრებელი ადგილიდან, ერთი ფოტოსურათი 3X4, აგრეთვე ადგილზე შეავსებენ სპეციალურ ანკეტას.

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: საბურთალოს 3ა, ტელ: 38-68-16.

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი
და
კორპორაცია „მალულა"
20, 21, 23 და 24 სექტემბერს
აწყობს
I საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს.

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე,
ვადიმ რეპინი (ვიოლინო),
ემილია ბარანოვსკაია საფრანგეთი (ვიოლონჩელო),
ჯანსუღ კახიძე
თბილისის სიმფონიური ორკესტრის
სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

გეპატიჟებათ სიმფონიური მუსიკის
დარბაზი დ. აღმაშენებლის გამზ. 125.

ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ქართულ ფონდთან არსებული გიმნაზია აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.

გიმნაზიაში სწავლა სამწლიანია და მიმდინარეობს ერთდროულად ქართულ და ინგლისურ ენებზე. გიმნაზიის პროგრამა აგებულია აშშ სამედიცინო ინსტიტუტების მისაღები უნიფიცირებული გამოცდის (MCAT-MEDICAL COLLEGE ADMISSION TEST) მოთხოვნათა შესაბამისად.

გიმნაზიის პირველ ჯგუფში მიიღებიან 10 კლასის, II ჯგუფში II კლასის, ხოლო III ჯგუფში საშუალო სკოლადამთავრებულები.

ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ინგლისურ ენაზე შესწავლა საშუალებას მისცემს გიმნაზიის კურსდამთავრებულებს ჩააბარონ მისაღები გამოცდები აშშ უმაღლეს სასწავლებლებშიც.

გიმნაზიაში მიღება იწარმოებს კონკურსის პრინციპით.

დაწვრილებითი ცნობების, პროგრამების და სპეციალური ლიტერატურის მიღება შეიძლება ფონდის ოფისში მისამართით: ქ.თბილისი, ასათიანის ქ. № 7 (სახ.სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის შენობაში), მე-4 სართული. ტელ: 39-55-09.

საბუთების მიღება იწარმოებს ა.წ. 16 აგვისტოდან 27 აგვისტომდე, 10-დან 16 საათამდე.

ისრაელი-საქართველო

ჩვენ მადლიერებით დავიმახსოვრებთ მის წვლილს

აი, უკვე ერთი წელია, რაც თბილისში რუსულ ენაზე გამოდის ებრაული გაზეთი „შალომი". რამდენიმე თვის წინათ გაზეთის რედაქტორმა ლევ სამოვსკიმ კითხვებით მიმართა ისრაელის პრემიერ-მინისტრს იცხაკ რაბინს ისრაელში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტთან დაკავშირებით. ამ დღეებში, ებრაული ახალი წლის წინ, „შალომის" რედაქციაში ისრაელის სახელმწიფო პრეს-სამსახურიდან წერილი მოვიდა:

ბატონო სამოვსკი!

პრემიერ-მინისტრმა რაბინმა გთხოვა გამოგიგზავნა მისი პასუხები თქვენს კითხვებზე:

1. საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობა ძალზე მდიდარ და ხანგრძლივ ისტორიას ემყარება. ჩვენს ორ უძველეს ხალხს შორის აღმოცენდა ღრმა ურთიერთობები.

მე დიდ პატივს ვცემ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა თემს და იმ გავლენას, რომელსაც ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები ახდენენ ჩვენს საზოგადოებაზე. ჩვენს ქვეყანაში ბევრი გვსმენია თქვენს მდიდარ ტრადიციებზე. ისრაელის ხალხი და მე ვხედავთ ჩვენი კავშირების განვითარებისა და გაძლიერების მომავალს.

2. დიდად ვწუხვართ, რომ ბატონ შევარდნაძის ვიზიტის გადადება მოუხდა. მაგრამ, ამასთან, კარგად გვესმის ის მიზეზები, რამაც ის განაპირობა. მოუთმენლად ველით ხელახალ დაგეგმილ მომავალ ვიზიტს. ჩვენ გვახსოვს ის ცენტრალური როლი, რომელიც მან საბჭოთა კავშირის რკინის ფარდის ახდაში შეასრულა და ამით ებრაელ ხალხს ემიგრაციის საშუალება მისცა. ჩვენ სამუდამოდ მადლიერებით დავიმახსოვრებთ მის წვლილს ამ საქმეში.

3. იერუსალიმიდან — ებრაელი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოს მუდმივი დედაქალაქიდან — მივესალმები და ვლოცავ საქართველოში მცხოვრებ ებრაელ თემს. საქართველოში მცხოვრები ებრაელთა თემი აღორძინებას იწყებს ტრადიციების პატივისცემისა და შეუპოვრობის გამო.

მჯერა, რომ ჩვენს შორის არსებული კავშირები უფრო გაძლიერდება.

„სოხნუთის" წარმომადგენლობა საქართველოში.

ბარუხ ბირენბაუმი:

„მინდა ჩემი საქმიანობა საქართველოსა და ისრაელის დაახლოებას მივუძღვნა"

— „ჩემი კიბუცი", — წარმოთქვამს ბარუხ ბირენბაუმი, და გვიამბობს იმ წლებზე, რომლებიც მან გაატარა ჰაიფის მახლობელ კიბუცში, სადაც იგი წარმატებით ამრავლებდა თევზს, ხოლო ბიძამისი ისრაელის საზომითაც კი, ძროხების უხვ წველადობას აღწევდა, და სადაც შემდგომში შემოსავლის გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ერთად სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაც დაიწყეს.

„ნახევარ წუთში პოლიციის ამბავს ვერ ჩაგეტევით, ამ თემაზე ლექციის წაკითხვა შეიძლება", — ღიმილით ამბობს ბარუხ ბირენბაუმი და ლაპარაკობს ისრაელის პოლიციის შესახებ, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მოემსახუროს საზოგადოებრიობას და მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედებს. მას მიაჩნია, რომ პოლიციის მთავარ შტაბში მისი მუშაობის მეოხებით შესაძლებელი გახდა ჩამოეყალიბებინა პოლიციის კლასიკური ფუნქციების ზუსტი გაგება.

„ისტორიკოსი გახლავართ", — ამბობს ბარუხ ბირენბაუმი. — თელ-ავივისა და იერუსალიმის უნივერსიტეტებში სამხედრო ისტორიას ვასწავლიდი, რუსეთისა და საბჭოური სამხედრო ისტორიის სპეციალისტი ვარ. აღიარებს, რომ ისტორიული პროცესების პატიოსანი ინტერპრეტაცია შეიძლება გახდეს თანამედროვეობის პრობლემების გადაწყვეტის გასაღები.

რამდენიმე პირადი შთაბეჭდილება. მაღალი, ათლეტური აგებულების, ჭკვიანი, სათვალის სქელი შუშებიდან ყურადღებიანი, გულითადი გამოხედვა. ეს გახლავთ ბარუხ ბირენბაუმი, საქართველოში ისრაელის 44 წლის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

— მე მესმის, — ამბობს ის, საქართველო ახლა სამხედრო ისტორიულ გზაჯვარედინზე იმყოფება. უნდა შეირჩეს ის გზა, რომელიც მიგიყვანთ დემოკრატიული საზოგადოების აშენებასთან. ისრაელი მსოფლიო გაერთიანების ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც დაინტერესებულია მხარი დაუჭიროს ქართველ ხალხს ამ გარდატეხის მომენტში.

— პოლიტიკა თავისი ბუნებით პრაგმატულია. მაგრამ მას შეუძლია ემოციურიც იყოს...

— მართლაც, ეს მომენტი ახლავს საქართველო-ისრაელის ურთიერთობას. ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს ქვეყნებს შეხების ბევრი წერტილი აქვს — ისტორიული, ეკონომიკური, გეოგრაფიულადაც ერთმანეთთან ძალზე ახლო ვართ.

საქართველოდან ამოსული ბევრი ებრაელი ისრაელის მოქალაქე გახდა. მაგრამ ისინი არ წყვეტენ ურთიერთობას თავიანთ ქვეყანასთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე უთბობდა მათ სულს. ფართოვდება ურთიერთკონტაქტები კულტურულ, ადამიანურ, ოჯახურ დონეზე.

ყოველივე ეს ჩვენს ურთიერთობებს განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს. ეს კარგად იგრძნობოდა ბოლო ხანს, როცა ისრაელი ემზადებოდა საქართველოს დელეგაციის მისაღებად ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

— **ვიზიტი გადაიდო...**

— ჩემი წინამორბედი, საქართველოში ისრაელის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბენიამინ ავილეა ამზადებდა ვიზიტს საქართველოში, მე კი — ვიზიტს ისრაელში. ის მარტო ოფიციალურ დონეზე როდი მიმდინარეობდა. მასში საქმიანად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უპირველესად ყოვლისა ისინი, რომლებშიც გაერთიანებული არიან საქართველოდან ამოსულები. ეს არის გულთბილი, მეგობრული, საპარტნიორო განწყობის ზუსტი ბარომეტრი.

— **ასეთი განწყობა თბილისშიც იგრძნეს?**

— მართალია, ბევრი ქართველი ებრაელი გადასახლდა ისრაელში, მაგრამ აქაც დარჩა მოზრდილი თემი. შევხვდი მის წარმომადგენლებს. ვიყავი სინაგოგაში, ვმონაწილეობდი პარასკევის ლოცვაში, გამოვედი მორწმუნეთა წინაშე. მაგრამ, ცხადია, საქართველოში მარტო იმიტომ კი არ ჩამოვედი, რომ ებრაული საქმეს ვემსახურო.

— **უკვე დაამყარეთ კონტაქტები ოფიციალურ სტრუქტურებთან?**

— საქართველოში ჩემამდე მომუშავე დიპლომატებს კარგი საფუძველი ჩაუყრიათ თანამშრომლობისათვის. უკვე გაიმართა შეხვედრები საგარეო საქმეთა, სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. ამასვე ვაპირებთ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებშიც. უნდა განვსაზღვროთ ის მიმართულებანი, რომლებშიც თანამშრომლობაც ყველაზე მეტ ეფექტს მოგვცემს.

— **თქვენი აზრით, ეს რომელი მიმართულებებია?**

— იქიდან გამოვდივართ, რაც უფრო მეტად სჭირდება ახლა საქართველოს, დამეთანხმებით, ქვეყანაში ახლა ყველაზე მწვავედ დგას მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხი. სხვათა შორის, ისრაელში დამნაშავეობის დაბალი დონეა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში ბევრ თანამედროვე პრობლემას წარმატებით ვწყვეტთ.

მიმაჩნია, რომ შეიძლება საქართველოს დავეხმაროთ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციაში. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

— **ეს მიზნობრივი პროგრამა იქნება?**

— როგორც ვიცი, საქართველოს მინისტრთა ახალი კაბინეტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. ეს რამდენადმე აფერხებს თანამშრომლობის საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტას.

ისრაელის მთავრობა მზად არის საქართველოში გამოგზავნოს სახელმწიფო დელეგაცია, რომელშიც შევლენ სამინისტროების, საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ქართველ კოლეგებთან ერთად ისინი განსაზღვრავენ ურთიერთობის პერსპექტივებს. მაშინ შეიძლება შევიმუშაოთ ორმხრივი პროგრამები ან თანამშრომლობის სხვა ფორმები. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველმხრივ ხელს შევუწყობ ამას.

— **შეიძლება ითქვას, რომ თქვენ უკვე ჩაებით მუშაობაში...**

— საქართველოში, კი. მაგრამ ერთდროულად ისრაელის ელჩად სომხეთშიც ვითვლები. იერუსალიმში ასობით წელიწადია ცხოვრობს სომხური თემი, რომელიც ახლა 3 ათას სულს ითვლის. წასვლის წინ შევხვდი მათ ლიდერებს. სექტემბრის დამლევს მოხდება რწმუნების სიგელების გადაცემა ერევანში.

— **თქვენ კარგად ლაპარაკობთ რუსულად...**

— შეგნიშნავთ, რომ ახლა მე ქართულ ენასაც ვსწავლობ. როგორც სამხედრო ისტორიკოსმა, რომელიც რუსეთის სამხედრო ისტორიის სპეციალიზაციას გადის, რუსული ენის ცოდნა საჭირო იყო. თანაც, ჩემი მშობლები პოლონეთიდან და ბესარაბიიდან არიან — ომის დროს მოახერხეს სსრ კავშირში მოეღწიათ. მამაჩემი მარტო დარჩა — ფაშისტებმა მთელი მისი ოჯახი მოსპეს, დედამ საკონცენტრაციო ბანაკი გაიარა. გარკვეულ დროს ისინი ჩერნოვცში ცხოვრობდნენ, სადაც მე და ჩემი და დავიბადეთ. მალე ისრაელში გადავსახლდით.

— **რა ძირითად ამოცანას ისახავთ თქვენს მოღვაწეობაში?**

— მინდა ჩემი საქმიანობა საქართველოსა და ისრაელის დაახლოებას, მათ მჭიდრო, ნაყოფიერ თანამშრომლობას მივუძღვნა...

ესაუბრა
გაბრიელ ნამთალაშვილი.

ცხელ გულზე

გურამ კლდიაშვილი

„ჩამოყვანილი"

შევარდნაძის „ჩამოყვანას"
არა ერთი იჩემებს,
ვინ და როგორ მოახერხა,
თავის სატეხს გვიჩენენ.
რა უგავდა „ჩამოსაყვანს",
რბილად რომ ვთქვათ ამჯერად,
ხელი აკლდა, ფეხი აკლდა,
მარცხენა თუ მარჯვენა?
რა უგავდა „ჩამოსაყვანს"
დავარდნილს და ინვალიდს?!
„გრადების" ქვეშ მოიარა
სოხუმი და ცხინვალი.
უშიშარი, ვით უხორცო,
თავს არ მალავს ბუნკერში,
საქართველოს გადარჩენის
იმედი და ნუგეში.
ჯერ ერთი და: „ჩამოყვანას"
რად არქმევენ, რა უნდათ,
და მეორეც: კაცი თავის
სამშობლოში დაბრუნდა.
ჩამოვიდა ბევრი რამის
და ავ-კარგის მნახველი,
მსოფლიოდან დანახული
დიპლომატის სახელით.
ჩამოვიდა თავის პურით,
თავის შაქრით და გაზით,
აქ კი დახვდა ზოვიერთი,
როგორც ავი ნაგაზი.
დაგვაპურა — იქით ვუღრენთ,
გვეფერება — იქით ვკბენთ,
დადის ხელებგაშვერილი
აქეთკენ და იქითკენ.
მოაქვს გემით, თვითმფრინავით,
საკვები თუ წამლები,
კუთხე-კუთხე მოგროვილი
ჯახირით და წვალებით.
ინგლისელი ძმას ეძახის,
გერმანელი — მესიას,
ჩვენ კი ზოგჯერ ტყვიასავით
სიტყვას ვესვრით გესლიანს...
გვახსოვს, ლამის „კავკასიურ
ცარცის წრეში" ჩაგვრაზეს,
თავი ვეღარ გავაღწიეთ
ბილიკიდან შარაზე.
გვახსოვს, რუსეთს დავამშევთო,
რკინიგზების ბლოკადით,
და თვითონვე დამშეულნი
ერთ თვეს თითებს ვლოკავდით.
ვერ მოასწრეს, ეზო-კარი
ეკეტათ და ერაზათ...
მსოფლიოში გასასვლელი
დღეს ხსნილია ყველა გზა.
ამ გზის გამხსნელს, რომ დასჭირდეს,
ნემსის ყუნწში გაძვრება,
ღმერთმა ხელი მოუმართოს!
ღმერთმა მისცეს გაძლება!

არქივიდან

ახალი ნათელი ეფინება

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის ახლებურად და საფუძვლიანად შესწავლა საშური და ამავე დროს არც თუ იოლი საქმეა. ვფიქრობთ, ეს პრობლემა სრულყოფილად და ამომწურავად, ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით უნდა იქნეს გამოკვლეული, გულდასმით შესწავლას მოითხოვს აგრეთვე უცხოეთიდან მიღებული საარქივო მასალებიც. ჩვენი მკვლევარები განაგრძობენ ინტენსიურ მუშაობას ამ მიმართებით. ამდენად, გარკვეული ინტერესის გამოჩენა ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ალბათ გამართლებულია.

არქივსაცავებში მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთი ნაწილის პირველი მსოფლიო ომისადმი დამოკიდებულების საკითხმა. ჩვენს მიერ მოკვლეული მასალებიდან იკვეთება ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთი ნაწილის პოზიცია ამ ომისადმი. თურქეთთან ომის დაწყების შემთხვევაში ისინი პროთურქული პოზიციის დაკავებას ვარაუდობდნენ. ზემოაღნიშნულის შესახებ ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1914 წლის 6 ნოემბრის მოხსენებითი ბარათით აუწყებდა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს. იგი მოხსენებით ბარათში წერდა: „ჯერ კიდევ თურქეთის ომების შავი ზღვის სანაპიროზე თავდასხმამდე გავრცელდა ხმები, რომ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლების ნაწილი თურქეთთან ომის დაწყების შემთხვევაში [illegible] მხარი დაუჭიროს მათ და, ვგონებ, მოლაპარაკებასაც აწარმოებენ ოფიციალურ პირებთან თურქეთში. ეს ხმები უმალ აისახა კავკასიის პრესის ფურცლებზე და გამოიწვია მწვავე პოლემიკა. თბილისში გამომავალმა სომხურმა გაზეთმა „ორიზონმა" პირდაპირ განაცხადა, რომ „სტამბულში გამოჩნდნენ საეჭვო პირები ჩოხებით და ფაფახებით, დუშეთის ხაზინის გამძარცველები, რომლებიც აწარმოებენ ფარულ მოლაპარაკებას ქართველი ხალხის სახელით, რომელმაც არაფერი იცის ამ მტარვალთა შესახებ. თბილისის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ახალი აზრი" სვამს საკითხს: „რაშია საქმე. ყოველივე ეს ჭორებია, პროვოკაციაა თუ ვინმე მართლაც იწევა შანტაჟს ქართველი ხალხის სახელით, რომელსაც არავისთვის დაუვალებია კულისებს მიღმა მოლაპარაკება და არასოდეს არ განუცხადებია თავისი ბედი რუსული დემოკრატიისაგან. სოციალ-ფედერალისტთა ორგანო „ორიზონის" ცნობას უწოდებს ბინძურ პროვოკაციას და სომხურ შპიონაჟს. თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებათა დაწყებამ ეს ხმები, სამწუხაროდ, გაამართლა. საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ გადაწყვიტა დაეზუსტებინა თავისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. პირველი გამოეხმაურა ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია. თავისი გადაწყვეტილებით ეს პარტია დგას აქტიური ნეიტრალიტეტის პოზიციაზე, ე. ი. ცნობს, აუცილებლად გაუწიოს დახმარება ჩვენს ჯარებს, ხოლო უკან დახევისა და ჩვენი ტერიტორიის თურქების მიერ დაკავების შემთხვევაში, ქვეყნის გაპარტახების თავიდან აცილების მიზნით, არ გამოვიდნენ იარაღით ხელში თურქების წინააღმდეგ უკეთუ ისინი არ დაიწყებდნენ მოსახლეობის დარბევას... ამ გადაწყვეტილების პასუხად თბილისში შედგა სოციალისტ-ფედერალისტთა თათბირი. ამ თათბირზე უმრავლესობა მიემხრო სოციალ-დემოკრატთა გადაწყვეტილებას მაგრამ უმცირესობამ, რომელიც ამას არ დაეთანხმა განაცხადა, რომ ისინი მხარს დაუჭერენ თურქებს, რათა განახორციელონ, როგორც ისინი ამბობდნენ, ქართველი ხალხის ეროვნული იდეალი — მიაღწიონ საქართველოს ავტონომიის მიღებისათვის. ისინი აცხადებდნენ, რომ მათთვის ისიც ცნობილია, რომ თურქები არ აწყენინებენ ქართველებს, რომ თურქებმა ქართული პროვინციების ოკუპაციისათვის სპეციალურად შეადგინეს პოლკი ლაზებისაგან. ამრიგად, თათბირზე მოხდა განხეთქილება და თანხმობას ვერ მიაღწიეს.... ფედერალისტების ეს ჯგუფი ეძიებს თავის თანამოაზრეებს სოფლებში თურქებისათვის მხარდამჭერის კომიტეტების ორგანიზებისათვის. მაგრამ ხალხი, — ვკითხულობთ მოხსენებით ბარათში, — ამ განზრახვას ეკიდება უარყოფითად. საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გამოვიდნენ აქტიურად ფედერალისტების წინააღმდეგ, როგორც პრესაში, ასევე სიტყვიერად. ამ დღეებში აღნიშნულ საკითხზე პრესაში ელიან ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა ლიდერის ნოე ჟორდანიას სტატიას. ამ უკანასკნელმა ქუთაისის გუბერნიაში ფედერალისტებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად დეპეშით გამოიძახა პეტროგრადიდან სახელმწიფო სათათბიროს წევრი კარლო ჩხეიძე რომელიც მალე უნდა ჩამოვიდეს ქუთაისში". (საქ. ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 3167, ფურც. 1–2).

როგორც შემოთავაზებული დოკუმენტიდან ჩანს, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთი ნაწილი მჩქეფარე საქმიანობას ეწეოდა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისათვის პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ჩვენთვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ფედერალისტების გარკვეული ნაწილი პროთურქულ ორიენტაციას ავლენდა და სამშობლოსათვის სანუკვარი ავტონომიის მოსაპოვებლად თურქეთზე ამყარებდა იმედებს. ქართველ პოლიტიკოსთა პროთურქული ორიენტაცია დინჯ და ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს. ვფიქრობთ, ის კი ცხადია, რომ მოსაზღვრე დიდ ქვეყანასთან კეთილი ურთიერთობის მნიშვნელობა, მით უფრო დაძაბულობის დროს, ჯეროვნად ესმოდა ქართველ ფედერალისტთა გარკვეულ ნაწილსაც. სავარაუდოა ისიც, რომ თურქეთთან ურთიერთობის განსაზღვრისას ისინი იმედს ამყარებდნენ აგრეთვე თურქეთის მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორაზეც. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ქართული დიპლომატიის გარკვეული წარმატებისა მეზობელ სახელმწიფოსთან ახლებური, ცივილიზებული ურთიერთობის დაწყების საქმეში, რაც მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

გურამ შენგელია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სარდლის აზრით

რუსეთის ჯარების სასაზღვრო ჯარების სარდლის გენერალ ანდრია ნიკოლაევის აზრით არსებობს ახალი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების საშიშროება ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე ტაჯიკეთის ოპოზიციისა და ავღანელი მოჯაჰედების მხრიდან. მისი სიტყვით, მსხვილი შემოტევის მოგერიება შესაძლებელია ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოებისა და რუსეთის კოორდინირებული მოქმედების შედეგად, აგრეთვე თვით ტაჯიკეთის შეიარაღებული ძალების განმტკიცების მეოხებით.

არჩევნები ნორვეგიაში

ნორვეგიაში დამთავრდა ქვეყნის პარლამენტის — სტორტინგის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 89%-ზე მეტმა. ყველაზე მეტი ადგილი პარლამენტში მიიღო მმართველმა შრომის პარტიამ. ნორვეგიის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით სოციალ-დემოკრატებმა (რომლებსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი ბრუნტლანდი უდგას) ახლა პარლამენტში ოთხი ადგილით მეტი მიიღეს ვიდრე 1989 წელს გამართულ არჩევნებში. ადრე ბრუნტლანდმა განაცხადა, რომ თუ მისი პარტია საპარლამენტო უმრავლესობას მიიღებდა, იგი ითანამშრომლებდა სხვა პარტიებთან ცალკეული პრობლემების განხილვისას გადაწყვეტილების მისაღებად.

მორიგი სხდომა

გუშინ კრემლში დაიწყო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. განიხილავენ ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთს შორის კონფლიქტის საკითხს. მოხსენებით გამოვიდა ვიცე-პრემიერი სერგეი შახრაი. სხდომაში მონაწილეობენ ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ახსარბეკ გალაზოვი და ინგუშეთის პრეზიდენტი რუსლან აუშევი. სხდომაში მონაწილეობს მარშალი ევგენი შაპოშნიკოვი, რომელიც, როგორც ცნობილია, გადადგა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან. მაგრამ, როგორც რადიოსადგურმა თავისუფლებამ გადმოსცა, პრეზიდენტს მისი გადადგომა ჯერ არ მიუღია.

აზერბაიჯანის პოზიცია

აზერბაიჯანის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ჰეიდარ ალიევმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური უშიშროების სისტემაში შესვლას და თანამეგობრობაში გაწევრიანებას. ეს განცხადება ალიევმა გააკეთა ერთდღიან კრებაზე, როცა გამოვიდა ანგარიშით მოსკოვში რუსეთის ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგებზე. მოლაპარაკებებზე, აღნიშნა მან, დიდი ყურადღება დაეთმო მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგებისა და რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების საკითხებს.

ბორის ელცინი მოუწოდებს

მოსკოვში გამართულ საპრეზიდენტო საბჭოზე გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მოუწოდა, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს დაძლეული რუსეთში შექმნილი ორხელისუფლებიანობის დამანგრეველი ზემოქმედება. მან თქვა, რომ აუცილებელია შექმნილი მდგომარეობიდან ცივილიზებული გამოსავლის მოძებნა, რომ უახლოეს ხანებში სერიოზული ცვლილებები მოხდება: შეიქმნება ფედერაციის საბჭო, გაიმართება საკონსტიტუციო თათბირის პლენარული სხდომა, საკონსტიტუციო თათბირისა და საკონსტიტუციო კომისიის ერთობლივი სხდომა ძირითადი კანონის პროექტის დასახვეწად. ამ ღონისძიებების წარმატებებზე, აღნიშნა პრეზიდენტმა, დამოკიდებული იქნება საკონსტიტუციო კრიზისის დაძლევა, რომელიც წარმოშვა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დაპირისპირებამ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია 93

ტყიბული. გუშინ ტყიბულის კულტურის სასახლის წინ გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილენი ითხოვდნენ ე. შევარდნაძის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დარჩენას. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ქალაქის გამგებელი უ. ბუკიეშვილი და რაიონის მშრომელები. მიტინგის მონაწილეებმა დეპეშა გაუგზავნეს ე. შევარდნაძეს თხოვნით, კვლავ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

ტყიბული. წლეულს აგვისტოში ტყიბულელი მაღაროელების რვადღიანი გაფიცვის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო მათი დაკმაყოფილება რეზინის ხელფეხსაცმლითა და საპნით, როგორც დეპარტამენტ „საქნახშირის" თავმჯდომარის მოადგილემ მომარაგებისა და ტრანსპორტის დარგში ვაჟა ბეჟუაშვილმა გვაცნობა, გატარებული ღონისძიების შედეგად ქალაქში შემოტანილია 2 ტონა საპონი და 500 წყვილი რეზინის ხელფეხსაცმელი.

სოხუმი. გ. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართული მხარე აწარმოებს აფხაზეთის ტერიტორიიდან ჯარის-ტექნიკის გაყვანას, არ შეესაბამება სინამდვილეს. პრეს-ცენტრის ცნობით, 10-დან 14 სექტემბრამდე საქართველოს საჯარისო ფორმირებები ორჯერ მოიყვანეს საბრძოლო მზადყოფნაში. ქ. სოხუმის მოსახლეობა სისტემატურად იძარცვება, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია მოქალაქეთა დაცვა.

თბილისი. კაიროში მოეწყო ექსპერიმენტული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრალური კოლექტივები მსოფლიოს 26 ქვეყნიდან.

ფესტივალზე საქართველოდან მიწვეული იყო ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც მაყურებლის წინაშე წარსდგა ოსკარ მილოშის პიესით „ლაბირინთი". სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე ქანთარიამ.

აღსანიშნავია, რომ ქართული თეატრალური დასი აფრიკის კონტინენტზე პირველად იყო მიწვეული.

სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. კრიტიკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპექტაკლი საოცრად აქტუალურია. დიდი მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა: ნ. ყურაშვილმა, ზ. მეგრელიშვილმა, გ. გორგასლანიძემ, თ. ბექუაშვილმა, ა. ალავიძემ.

სპექტაკლით დაინტერესდნენ ეგვიპტელი მწერლები, ინგლისის, აშშ-ს და პოლონეთის თეატრალური მოღვაწეები.

მომავალ წელს ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი კვლავ მიწვეულია კაიროს ფესტივალზე.

სოხუმი. აფხაზეთში მოქმედი გაერთიანებული სამმხრივი კომისიის ქართული მხარის წარმომადგენლებმა მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ე. შევარდნაძეს, რომელშიც გამოთქმულია მხარდაჭერა აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე სამშვიდობო ღონისძიებებისადმი, იმ კურსისადმი, რომელსაც ე. შევარდნაძე ატარებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

სოხუმი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროდან შეგვატყობინეს, რომ 20 სექტემბერს სწავლა დაიწყება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 8 საშუალო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სავალალო მდგომარეობაშია, სოხუმში სულ მალე გაიხსნება რამდენიმე საბავშვო ბაღი.

თერჯოლაში ფიქრობენ კულტურის გადარჩენაზე

თერჯოლის რაიონში, ჩვენი საერთო პრობლემების გამო, ეკონომიკასთან ერთად მეტად უჭირს კულტურის სფეროსაც: დაიშალა განთქმული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მუშაობა შეწყვიტეს მხატვრული თვითმოქმედების წრეებმა, გაუჭირდა მუსიკალურ და სამხატვრო სკოლებს, თითქმის აღარ ფუნქციონირებენ რაიონის მუზეუმები და სამხატვრო გალერეა, შეჩერდა ჩხარის მუზეუმის და კულტურის ცენტრის ნაგებობათა მშენებლობები.

კულტურის დარგში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რაიონის გამგეობამ რეგისტრაციაში გაატარა ქართული კულტურის გადარჩენის რესპუბლიკური ფონდის თერჯოლის ფილიალი, რომელმაც ამ დღეებში უკვე დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა.

ჰენრი შარიქაძე.



GCI Publishing House

აქციები, ობლიგაციები, ლატარია, სერტიფიკატები, საანაბრო წიგნაკები და სხვა ფასიანი ქაღალდები

☎ 36-52-91

დამზადება მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე

ხელოვნებამ არ იცის საზღვრები

გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ქალაქ ბარგერჰოილში ყოველწლიურად იმართება თეატრალური ფესტივალი დევიზით „ხელოვნებას არა აქვს საზღვრები, ხელოვნება აახლოებს ხალხს", რომელსაც 10 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა რეჟისორმა, პროფესორმა ჰერმან ვედეკინდმა.

ამ ტურნირში ტრადიციულ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მეგობარ ქვეყანაში მიემგზავრებიან ცნობილი მსახიობები — ფირმა „კავკასიონმშენის" სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რაჭას" წევრები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შალვა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რომლებიც მასპინძელთა სამსჯავროზე წარმოადგენენ ბრეხტის პიესას — „კავკასიური ცარცის წრე".

აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი ამასწინათ დაიდგა ბონში ქართველთა და გერმანიის მელპომენის შემოქმედებითი ჯგუფის ერთობლივი ძალებით და პრემიერასაც დიდი წარმატება ხვდა. რეჟისორები — შალვა ჯაფარიძე და რაინჰარდ ქაულე, ამავე დროს მთავარ როლებსაც ასრულებენ.

დავძენთ, რომ ქართველ და გერმანელ შემოქმედთა დამეგობრებაში ძირითადი წვლილი 1991 წლის რაჭის მიწისძვრის შემდეგ ჰუმანიტარული მისიით ჩამოსულმა გერმანელებმა შეიტანეს.

თამაზ კერვალიშვილი.

სურათზე: სპექტაკლის ერთ-ერთი ეპიზოდი.

ენგურჰესის კოლექტივს აშინებენ

ზუგდიდი, 13 სექტემბერს, 19 საათსა და 50 წუთზე, გაჩერდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატები. ამის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა ზუგდიდსა და ფოთს, აგრეთვე აჭარას. ორი საათის შემდეგ ჰიდროელექტროსადგურმა განაახლა მუშაობა. „საქენერგოს" დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების — ელექტროენერგიის დამატებითი ლიმიტიზაციისა და აზერბაიჯანიდან მიღებული დახმარების წყალობით, მთლიანად რესპუბლიკის ენერგეტიკის სისტემამ შეუფერხებლად იმუშავა. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ამ გამორთვის ინიციატორი კი იყო სადგურის საგაფიცვო კომიტეტი გალის მკვიდრის ვინმე გვაძაბიას მეთაურობით, რომელიც სადგურის მუშაკი არ არის. „საქენერგოს" ხელმძღვანელობის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ლოთი ქობალიას შეიარაღებული დაჯგუფება ცდილობს შიშის ქვეშ ჰყავდეს ენგურჰესის კოლექტივი.

საქართველო-ირანი:
ვივაჭროთ, ვიმეგობროთ!

უკვე მოჰყვა პირველი შედეგი საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო ვიზიტს უმაღლეს დონეზე თეირანში (1993 წლის იანვარი) და იქ გაფორმებულ დეკლარაციას, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ეკონომიკისა და ვაჭრობის გაფართოებასაც ითვალისწინებს.

თბილისს ეწვია ირანის ცნობილი ფირმის „ფარახამ-კალას" წარმომადგენლები, რომლებმაც წინასწარი მოლაპარაკების თანახმად 14 სექტემბერს უნივერმაღ „თბილისში" გახსნეს ფირმის საქონლის ერთდღიანი გამოფენა-გაყიდვა. გამოფენა-გაყიდვაზე ირანელმა პარტნიორებმა ჩამოიტანეს 500.000 მილიონი დოლარის ღირებულების როგორც სამრეწველო, ისე საკონდიტრო ნაწარმი.

უნივერმაღ „თბილისის" სხდომათა დარბაზში ამ მოვლენას მიეძღვნა ოფიციალური შეხვედრა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქის მერმა ბატონმა კოტე გაბაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს ირანის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ჰაჯიბინმა, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მინისტრმა ბატონმა მურთაზ ზანქალიანმა, ფირმა „ფარახამ-კალას" პრეზიდენტმა ბატონმა რეზაიანმა და სხვ. თბილისის მერიის ვაჭრობის და მომსახურების სამმართველოს უფროსმა ბატონმა მელორ ტყეშელაშვილმა კი აღნიშნა, რომ ირანელი პარტნიორების ჩამოსვლას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ერთი წლის წინ, როცა სამმართველოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თეირანში სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა უდიდესი შეფასება მისცეს ორ მეზობელ ქვეყანას შორის ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რაც ისტორიული მოვლენების გამო დიდხანს იყო შეჩერებული. გზა, რომლითაც დიდ ხანს უახლოესი მანძილით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს საქართველო და ირანი ხატოვნად მონათლა „ხავერდოვან გზად", ხოლო ირანელი პარტნიორების ჩამოსვლას საქართველოში ასევე ხატოვნად უწოდა „პირველი მერცხლების" გამოჩენა.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ „ფარახამ-კალას" ჩამოსვლა თბილისში დასაწყისია იმ დიდმასშტაბური, მეგობრული, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისა, რომლებიც უნდა დამყარდეს საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის უახლოესი მომავლისათვის.

ფირმა „ფარახამ-კალას" გამოფენა-გაყიდვა უნივერმაღ თბილისში 24 სექტემბრამდე გასტანს. ვაჭრობა წარმოებს როგორც კონვერტირებად ვალუტაზე ისე რუსულ მანეთებზე.

ზურაბ მერკვილაძე.

დამნაშავენი დაისაჯნენ

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ლ. ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით, მსაჯულების მ. ქორქოსაძისა და ლ. ვაჩეიშვილის შემადგენლობით, პროკურორ თ. ბობოხიძის მონაწილეობით ქუთაისში გამსვლელ სესიაზე განიხილა საქმე ლევან არსენის ძე ქანთარიას, ედუარდ ვალერის ძე გოგოხიასა და კახაბერ ავთანდილის ძე ჭკადუას ბრალდების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ქანთარიამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაითრია ორი არასრულწლოვანი ე. გოგოხია და კ. ჭკადუა. მათთან წინასწარი შეთანხმებით მოაწყო ყაჩაღური თავდასხმა პელაგინას ბინაზე. იმავე საღამოს, დამნაშავეთა ჯგუფი თავს დაესხა კიდევ ერთ ოჯახს; ლ. ქანთარიამ ჯერ გააუპატიურა ოჯახის მცირეწლოვანი წევრი, შემდეგ თავდაცვის მიზნით მძევლად აიყვანა იგი. მეზობლები შეეცადნენ იარაღის გამოყენებით წინ აღდგომოდნენ ბოროტმოქმედს, რის შედეგადაც შემთხვევით დაიჭრა მძევლად აყვანილი ბავშვი. ქანთარიამ ხელყუმბარა ისროლა აზვირთებული ხალხის მიმართულებით, მაგრამ, ბედად, არავინ დაშავდა.

ლ. ქანთარიამ დაჭრილი გოგონა მედპუნქტში მიიყვანა, თვითონ კი მიიმალა. კ. ჭკადუა და ე. გოგოხია შემთხვევის ადგილიდან ადრევე მიიმალნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ დაუსჯელობით გათამამებულმა კ. ჭკადუამ ახალ „გმირ" გ. აქუბარდიასთან ერთად განმეორებით ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დაუფლების მიზნით.

ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლო კოლეგიამ ლ. ქანთარიას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით; ე. გოგოხიას — თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით; კ. ჭკადუას — თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, სასჯელის საერთო რეჟიმის არასრულწლოვანებისთვის განკუთვნილ შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოხდით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეს-ცენტრი.



ფირმა «PrintShop»

უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!

უმოკლეს დროში!

დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის

ბეჭდებსა და შტამპებს,

სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა

და ფასიან ქაღალდებს

თბილისი. ვირსალაძის ქ. № 8

ტელ.: 998696, 997712

ავაგოთ მემორიალი

კაცობრიობის დასაბამიდან ყოველ ადამიანს ერთი წმინდა გრძნობა აერთიანებს — გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა.

დიდი ილია ბრძანებდა — „ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, სადაც თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისთვის, სადაც „მე" ხშირია და „ჩვენ" იშვიათი!".

სამშობლოსთვის, საქართველოსთვის, მისი კეთილდღეობისა და ნათელი მომავლისთვის მრავალმა მისმა შვილმა გაწირა თავი, ხშირად ბარიკადის სხვადასხვა მხარესაც კი, მაგრამ მათ ერთი წმინდა გრძნობა ამოძრავებდა — თავისუფალი, ერთიანი, დამოუკიდებელი, ძლიერი და ბედნიერი საქართველო.

ასე იყო შორეულ საუკუნეებში, ასე იყო უახლოეს წარსულში, ასეა დღეს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ თბილისში აიგოს დაღუპულ გმირთა მემორიალი, რომლის საპატიო დაფაზე ამოიკვეთება მათი სახელები. მემორიალი უნდა გახდეს პატივის მიგებისა და ლოცვა-კურთხევის, მოგონებისა და ხსოვნის, ერთობისა და შერიგების, მიტევების, საპატიო რიტუალებისა და საზეიმო ცერემონიალის, საქართველოს მოსახლეობის, ჩვენი მომავალი თაობის საყვარელი და სათაყვანებელი ადგილი. უნდა დაწესდეს საქართველოს გამთლიანებისა და ურთიერთშერიგების თარიღი და აქ მოხდეს მისი საზეიმო აღნიშვნა.

საჭირო იქნება გამოცხადდეს კონკურსი მემორიალის პროექტისა და დიზაინის შესამუშავებლად.

მემორიალი უნდა აიგოს შეწირულობათა ხარჯზე, არ უნდა იყოს პომპეზური და პრეტენზიული.

შემოწირულობათა ჭარბი თანხა შეიძლება მოხმარდეს დაღუპულთა ოჯახების შემწეობასა და სხვა საქველმოქმედო მიზნებს.

ვფიქრობთ, კონკურსსა და მემორიალის შექმნაში, მის დაფინანსებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა ორგანიზაცია.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ მისამართზე:

საქართველოს რესპუბლიკა, 380077, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 45, კონცერნი „საქსოფმშენი".

კონცერნ „საქსოფმშენის" კოლექტივის სახელით, კონცერნის თავმჯდომარე

დ. კოვზირიძე.

სარედაქციო ფოსტიდან

მეც თუ მგზავრობაა

შაბათ-კვირას თბილისის ვაგზალი მუდამ გადაჭედილია, მართალია თბილისი-ბორჯომის ორი შემადგენლობა მოძრაობს, მაგრამ მგზავრთა გადაყვანას ვერ აუდის.

4 სექტემბერს ხაშურის სარკინიგზო კვანძმა თბილისიდან დამატებითი მატარებელიც მიიღო, რამაც [illegible] მიღმა გამსვლელთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდა.

მგზავრთა ერთადერთი იმედი ზესტაფონის მიმართულებით მოძრავი მატარებლები გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდათ.

და აი, გამოსავალი მოძებნეს, მგზავრები სატვირთო შემადგენლობას მიაწყდნენ, ვინ ღია ვაგონებზე ახტა, ვინ ელმავლის დერეფნებში მოეწყო თავისი ბარგიბარხანით. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ წესრიგის დამცველებს, მაგრამ ხალხმა უკან არ დაიხია, პროტესტის ნიშნად რკინიგზა გადაკეტა, როგორც იქნა მგზავრთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება 4 სექტემბრის 22 საათზე ხაშურის სადგურიდან გამოსულ მატარებელს, იგი თბილისის ვაგზალზე 5 სექტემბრის გამთენიისას შემოვიდა. გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ ამისთანა მგზავრობას ფეხით სიარული სჯობს.

თენგიზ თომაძე.
კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ხსოვნა

მიხეილ ქუმსიაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ღვინის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე მიხეილ გიორგის ძე ქუმსიაშვილი.

იგი თითქმის 60 წლის მანძილზე დიდი სიყვარულით, შესაშური ენერგიითა და უმაღლესი პასუხისმგებლობით ემსახურა საქართველოს ეკონომიკისთვის ტრადიციულ მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის დარგს, ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და დავაჟკაცებას.

ბატონი მიხეილის პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული პრაქტიკოს-სპეციალისტის უდიდესი გამოცდილება, საუკეთესო ორგანიზატორისა და გარშემომყოფთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების, მეგობრული ურთიერთობის გამორჩეული უნარი, რაც სავსებით გამოვლინდა თელიანის ღვინის ქარხანასა და წინანდლის საწარმოო გაერთიანებაში მისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. ბატონ მიხეილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ცნობილი ქართული წითელი ღვინოების ხარისხის ამაღლებისა და შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში, რომლებმაც მისი მუშაობის პერიოდში საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებზე არაერთი ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი, უაღრესად კეთილი, პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი, ყველასთან მართალი, უპრეტენზიო, საქმისა და მეგობრების ერთგული კაცი და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა.

მსუბუქი იყოს მისთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელსაც მთელი არსებით ეთაყვანებოდა.

ყურძნის წარმოებისა და ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი".

მერაბ სვინტრაძე

მართლაც, ულმობელია ბედისწერა. არამზადა ბოროტმოქმედის მუხანათურმა ტყვიამ იმსხვერპლა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეექვსე სამმართველოს ოცეულის მეთაური, პოლიციის კაპიტანი მერაბ ვალერიანის ძე სვინტრაძე.

მას ახლა 36 წელი შეუსრულდა, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა მერაბმა დიდი სითბოსა და სიყვარულის დამკვიდრება მოასწრო. ეს სიყვარული დასადგურებულია ობლად დარჩენილი ოთხი ვაჟკაცის არსებაში, რომლებსაც მამის სითბოს გარდა არაფერი მოაკლდებათ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცი, რომელიც უყვარდა ყველას, რადგან იგი იყო ნაცნობ-მეგობრების, კოლეგების საძმოდ შემაკავშირებელი, მათი ჭირისა და ლხინის გულწრფელი გამზიარებელი, თითოეულისათვის სათუთი მზრუნველი, თითოეულის ტკივილის გულთან ახლოს მიმტანი, საქმეზე, ოჯახზე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სიკეთითა და სითბოთი აღსავსე ადამიანი.

ჭეშმარიტად ასეთი იყო იგი ცხოვრებაში და სწორედ ამიტომ ასე გვიმძიმებს გულს მასთან განშორება, სწორედ ამიტომ მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში მისი ხსოვნა.

ნათელი დაადგეს შენს სულს, მერაბ! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

რევაზ ხუბაშვილი

1993 წლის 17 ივლისს სოფ. შრომასთან მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად 12 სექტემბერს გარდაიცვალა სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის მებრძოლი, რევაზ გიორგის ძე ხუბაშვილი.

პანაშვიდი 16-17 სექტემბერს 5 სთ-ზე.
გამოსვენება 18 სექტემბერს 3 სთ-ზე.
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. 28. (ყოფილი პავლოვის).
დაკრძალვა საბურთალოს საძმო სასაფლაოზე.

კრიმინალური ქრონიკა

12 სექტემბერს საგარეჯოში ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს პარლამენტის წევრი ველა გოდერძიშვილი, იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

მიმდინარეობს გამოძიება.

ბორჯომში დააკავეს ბორჯომის სარემონტო კანტორის მძღოლი დ. დიაკონაშვილი და უმუშევარი გ. ავეტისიანი. მათ ბორჯომის ელექტროქვესადგურიდან მოიპარეს 80 ლიტრი ტრანსფორმატორის ზეთი.

Apple Computer
XXI
საუკუნის ტექნიკა

ამერიკული კორპორაცია

APPLE COMPUTER'ის

ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოში

ერთობლივი საწარმო

« Intermicro-Tbilisi »

გთავაზობთ მსოფლიოში საუკეთესო საგამომცემლო სისტემებსა და საოფისე კომპიუტერებს დასავლეთევროპულ ფასებში, ყველა სახის პროგრამებითა და საგარანტიო მომსახურებით, თუმცა Macintosh'ს გარანტიები არ სჭირდება.

მისამართი: თბილისი, 380007,
თავისუფლების მოედანი 4,
ტელ: 98-23-86, 98-23-87
ფაქსი: 99-86-75

ჩვენ არ გთავაზობთ იაფფასიან ტექნიკას,

ჩვენ გთავაზობთ Macintosh'ს!!!

გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგა

როცა კრიმინოგენური სიტუაციის საქმე მთლიანად მოიშალა და უმართავი გახდა,

როცა კრიმინალურმა სამყარომ აშკარა ომი გამოუცხადა პოლიციას, ხალხს და საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენა.

როცა სხვა გზა აღარ იყო, — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ საკმაოდ სარისკო, მოულოდნელი, მაგრამ მისთვის ჩვეული, როგორც ყოველთვის, ახლაც ორიგინალური ნაბიჯი გადადგა — შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობა შეითავსა.

ამით მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლისათვის, დაუსრულებელი ქაოსით დაოსებული ხალხის სიმშვიდის აღდგენისათვის, რწმენისა და სიცოცხლის ხალისის დაბრუნებისათვის.

ამით საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. დავით აღმაშენებელი „იყო ბრძენი და იყო სასტიკიც", თქვა მან. ეს რამდენიმე სიტყვა დიდი, ერთიანი და ერთ დროს „იმპერიად გამზადებული" საქართველოს გამოძახილია, ჩვენს ქვეყანაში დიდი გარდაქმნების დაწყების ნიშანია, მთელი პროგრამაა...

ახლა, მთავარია, ეს ბრძოლა შეუპოვარი და შეუქცევადი იყოს, მთავარია, არ შევდრკეთ, არ შევშინდეთ, მთავარია, არჩევანი საქართველოს სასარგებლოდ გავაკეთოთ.

ოღონდ საქართველო გადარჩეს,
ოღონდ დავრდომილი ფეხზე დადგეს,
ოღონდ მშიერი დაპურდეს,
ოღონდ სიყვარულმა გაათბოს გულები — სხვა სურვილი არც მქონია, არც მაქვს და არც მექნება არასდროს.

• • •

არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფმა კრიმინალებმა ქალაქ რუსთავის საგზაო პოლიციის საგუშაგოდან გაიტაცეს და სასტიკად სცემეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლიციის პოლკოვნიკ ტრიდონ კენკბაშვილს.

მარნეულში, გავლენის სფეროების განაწილების დროს ერთმანეთს შეეტაკნენ შაუმიანის ბატალიონისა და რაიონში არსებული სვანი მოსახლეობის ბანდები.

გადაკეტილია საქართველოს უმთავრესი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები.

ქვეყანაში ბობოქრობს ჰიპერინფლაცია.

საქართველო სრული მატერიალური და სულიერი კრახის საფრთხის წინაშეა.

ურთიერთგაუტანლობამ, შურმა, ღვარძლმა და მაღალი სკამებისათვის ბრძოლამ მიიყვანა ქვეყანა ამ დღემდე.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ჟამი რომ გადაბრუნდა, გზა მერე გამოჩნდა.
ახლა რაღა დროსია, თითზე კბენანი!

• • •

ავტომატების ჯერითა და ყუმბარების აფეთქებებით ძნელად გააკვირვებდით იმ დროს იაპონელებს. მათი დაბომბილი, მშიერი ქალაქები ამერიკის საოკუპაციო ჯარებთან ერთად, სხვა პატრონების ორგანიზებული და თავხედი დამნაშავეების ხელშიც აღმოჩნდნენ. გაუფასურებული ფული, დაუცველი საკუთრება იმაზე მეტყველებდა, რომ ქვეყანა სრულიად კრიმინალიზებული იყო. 1945 წლიდან მას იარაღის ტარების უფლებაც არ ჰქონდა, ხელისუფლება იმათ ხელში აღმოჩნდა, ვინც იმ დროს ერთადერთ „ვალუტას" — სასურსათო პროდუქტებს, სიგარეტებს ფლობდა და ახლად დემობილიზებული უმუშევარი იაპონელი ჯარისკაცების, მრავალშვილიანი ქვრივებისა და უსახლკარო მოზარდების დაქირავება შეეძლო. ქვეყანა უზარმაზარ ბაზარს დაემსგავსა, სადაც სისხლიანი ვნებათაღელვა ბატონობდა. ადამიანის სიცოცხლე კი კონსერვის ქილაზე იაფად ფასობდა.

იაპონია დღეს დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და კულტურული სახელმწიფოა. მათ „დედამიწისეული სამოთხე" საკუთარი შრომით მოიპოვეს.

ორშაბათს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში ოპერატიული თათბირი გამართა. მისი სიტყვა მკვეთრი, საქმიანი და საპროგრამო იყო —

— უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ყაჩაღური ბანდების თარეშის აღკვეთა, ქვეყნის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე სახელმწიფო წესრიგის აღდგენა;

— სამინისტროს პირადი შემადგენლობის პროფესიული დონის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, უღირსთა ჩამოცილება;

— სტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა;

— კადრების შერჩევა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თათბირისა და კონსულტაციების შემდეგ.

მე არაერთხელ ვწერდი, რომ ქვეყანაში წესრიგის დამყარების მთავარი პირობა სამი უმძლავრესი შეიარაღებული რგოლის — საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების კოორდინირებული, შეთანხმებული და პატრიოტული გრძნობით [illegible] მუშაობაა.

ახლა შეიქმნა შტაბი, რომელიც ამ სამსახურების მოქმედების მაკოორდინირებლის ფუნქციას შეასრულებს.

ქვეყანა მძიმე ცაიტნოტშია, დრო არ ითმენს, საჭიროა გონივრული და გაბედული მოქმედება. იმედია იგი დადებით შედეგს მოიტანს.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29. ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434